Б-63

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელი სხივი

№ 5

სახელმწიფო გამომცემლობა—1926 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ამუნდსენის გადაფრენა ჩრდილო პოლიუსზე—სურ. 1
2. პირველი მაისი,—ლექსი კ. ლორთქიფანიძისა 2
3. საიდი და ადინდა,—მოთხრობა მულტატულისა ვ. მ—ისა . 2
4. პირველი მაისი,—ლექსი მოწ. მარგალიტა გველესიანის . . 9
5. თრიალეთის კალთებზე (ლეგენდა და სინამდვილე)—სეზ-
მანისა 10
6. მიყვარხარ, დიდო ლიახვო,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა 11
7. წითელი რაინდი (ზღაპარი პიესა)—გენო ყორჩიბაშისა . . 16
8. პიონერი სოფლად—ლექსი ე. პოლუმორდვინოვისა . . . 20
9. პიონერის პირადი სწავლა—შანისა 21
10. იყავ მზად,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა 22
11. მუშათა ბრძოლა ინგლისში 23
12. გადატრიალება პოლონეთში 25
13. ჩრდილო პოლიუსზე გადაფრენა—ლ. კ—ისა 27
14. გაზეთის ფურცელი (ელექტროენერგია, გაგრძელება),—თარ-
გმანი თ. ბ—ისა 30
15. შეკერეთ სამგზავრო ჩანთა 31
16. გასართობი: 1) შარადა. 2) ანდაზნური კვადრატი, 3) ლი-
ტერატურულ-გეომეტრიული ამოცანა და 4) ახსნა 32

ნიმოელი სტიპი...

1926 მაისი

განათლების სასალსო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი მკვეთებისათვის.

წელიწადი 3
№ 5

899.962.1(05)
ნ-63.

1088

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა



ამუნდსენის გადაფრენა ჩრდილო პოლიუსზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ი ს

ი ი ს, ი ი ს,
ჩვენ რომ გვიტაცებდა!
უძლევი რაზმებით
მოდიან, მოდიან...
დროშა, ამხანაგო,
თუნდ ქარს გადაეცი!
ეს ქარი, ეს ქუჩა
საშიში როდია!

გავიდა დროება
ბნელი და უვიცი,
როცა ჩვენ სიცოცხლე
გვეპირა კბილით!
და მაინც ვიბრძოდით
მშრომელთა გულისთვის,
არად მიგვაჩნდა
მწარე ტკივილები.

გახსოვს, მეგობარო,
ტფილისის გორები,
მალული კრებები...
დაჭერა, ცემა და
ცრემლების მორევი...
და მაინც გვწამდა, რომ
ძლევის ხმას გავისვრით.

ასრულდა! მშრომელო,
თქვენს სახელს დიდება,
დიდება მაისის პირველ დღეს
ელვარეს!
თქვენი ხმა მქუხარე
ფრთებს შლის და იზრდება,
და ბრძოლას ჰპირდება
მსოფლიოს უარესს.

დღეს კი ამოვქარგოთ
გულში სიხარული,
გავშალოთ დროშები
პირველი მაისის!
დე, გრძნობით დაიწვას
ეს გული ალური
და ძლევის ნაღარით,
სიმღერით აივსოს.

პირველი მაისი,
ჩვენ რომ გვიტაცებდა!!
ქუჩებზე რაზმები
მოდიან, მოდიან!
ჩვენი სიხარული
მზესაც გადავეცით,
მასაც ანთებული
თვალები ჰქონია.

კ. ლორთქიფანიძე.

საიდი და ადინდა.

საიდის მამას კაეჩი ჰყავდა; ის მას ყანას უხნავდა. როდესაც ოლქის უფროსმა ეს კამეჩი ჩამოართვა, საიდის მამას რამოდენიმე დღე სიტყვა არ უთქვამს— ისე ეწყინა. მიწის დამუშავების დრო ახლოვდებოდა. თუ ყანას დროზე არ დახნავ და არ დათესავ, მთელი წელიწადი უბრინჯოდ დარჩები.

საიდის მამა შეფიქრიანდა: უბრინჯობა არც მას შეეძლო, არც მის ცოლს, არც საიდს, რომელიც ჯერ ბავში იყო, არც საიდის უფროს და-ძმას.

მაგრამ მარტო ეს კი არ აწუხებდა საიდის მამას: ვინც მიწის ბეგარას არ გადიხდის, მას სჯის კანონი. მამას ეს ბეგარა გადახდილი არ ჰქონდა. შეშინდა, რომ ოლქის უფროსი მთავარ უფროსთან უჩივლებდა და მასაც დასჯიდენ. ბეგარას კი საიდან გადიხდიდა, თუ ვერ იმუშავებდა?

ამიტომ საიდის მამამ ხანჯალი ამოიღო; ხანჯალი დიდი არაფერი იყო, მაგრამ საიდის მამას უყვარდა, რადგანაც მემკვიდრეობად მიიღო მამისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხანჯლის ქარქაში მოვერცხლილი იყო, და ზედ ვერცხლისვე რგოლები ერტყა. ეს ხანჯალი ჩინელ მოვაჭრეს მიჰყიდა, მთავარ მოედანზე რომ ვაჭრობდა; აღებული ფულით კამეჩი იყიდა.

საიდი ამ დროს შვიდი წლისა იყო და მალე დაუმეგობრდა ახალ კამეჩს. ვამბობ, „დაუმეგობრდა“ მეთქი, იმიტომ რომ მათ შორის ნამდვილი მეგობრობა იყო. კამეჩები გასაოცრად ეჩვევიან პატარა იავაელებს, თავიანთ მომვლელებს და მზრუნველებს. ძლიერი ცხოველი პატარა ბავშის სურვილით მორჩილად აბრუნებს თავს მარჯვნისაკენ, მარცხნისაკენ, ან ქუევით. ის კარგად იცნობს თავის პატარა პატრონს, მასთანაა შეზრდილი, უყვარს ის და ესმის მისი.

ასეთი მეგობრობა გაჩაღდა მალე საიდსა და ახალ კამეჩს შორის. საიდის მხიარულ შემოძახებაზე კამეჩი თითქოს უფრო ღონიერი ხდებოდა, ჭაობიან თიხნარ ნიადაგს ღრმად აბრუნებდა მისი გუთანი, ღრმა და სწორ კვალს სტოვებდა; ყანის ბოლოში კამეჩი მორჩილად შემოტრიალდებოდა და ძველ კვალს ახალი ემატებოდა.

საიდის მამის ყანის გვერდით ადინდას მამის ყანა იყო. ადინდა საიდის საკოლო იყო; ასე გადაეწყვიტათ მათ მამებს. როცა საიდი და ადინდას ძმები მიჯნაზე შეიყრებოდენ, ერთმანეთს ხმას მისცემდენ, იცინოდენ, თავიანთ კამეჩებს ღონეს და მორჩილებას უქებდენ. მაგრამ, მგონი, საიდის კამეჩი სჯობდა; ეკვე იმიტომ, რომ საიდს მისთვის ალერსიანი სიტყვა არ გამოელეოდა...—კამეჩსაც ხომ ესმის ალერიანი სიტყვა!

საიდი ცხრა წლისა იყო, ადინდა—შვიდის, როდესაც ოლქის უფროსმა საიდის მამას ეს კამეჩიც ჩამოართვა.

საიდის მამა მეტად ღარიბი იყო; მან ვერცხლის სამკაულები გაჰყიდა—ცოლის მემკვიდრეობა—და ამ ფულით ახალი კამეჩი შეიძინა.

საიდი ძლიერ შეწუხებული იყო. ადინდას ძმებისაგან გაიგო, რომ მისი კამეჩი მთავარ მოედანზე გარეკეს; მამას ჰკითხა, სამკაულებს რომ ჰყიდდი, ჩვენი კამეჩი ხომ არ გინახავსო; მამამ პასუხი არ მისცა, და საიდს ეშინოდა, ვაი თუ ჩემი კამეჩი სასაკლაოზე წაიყვანეს იმ კამეჩებთან ერთად, ოლქის უფროსმა სხვა სოფლელებს რომ ჩამოართვაო.

ძველი კამეჩის მოგონებაზე საიდი ტიროდა; ხუმრობაა, ორი წელიწადი ერთად გაატარეს, როგორც საუკეთესო მეგობრებმა! ბავშს ჭამა არ შეეძლო, დიდხანს არ ჩადიოდა ყელში ლუკმა: რაღაცა ახრჩობდა.

მაგრამ ახალი კამეჩი შეეჩვია და შეეგუა საიდს და მალე, ეგებ მეტადაც მალე, ბავშს ძველი მეგობარი გადაავიწყდა; ადამიანის გული ხომ თაფლის სანთელს ჰგავს: დიდი ხნით არაფერი დააჩნდება.

მართალია, ახალი კამეჩი წინანდელზე სუსტი იყო, მაგრამ საბრალო ცხოველი ისითივე მშვიდი და გამგონე იყო, როგორც მისი მოწინავე, რომელიც დაჭკლეს. ახლა, როცა საიდი ადინდას ძმებს მიჯნაზე შეხვდებოდა, თავის კამეჩს ღონეს ვერ უქებდა, მაგრამ ამბობდა, ასეთი კეთილი და გამგონე ცხოველი მეორე არ მოინახებაო. გარდა ამისა, არც ერთ კამეჩს არ ექნებოდა ზურგზე ისეთი კულულები, როგორც ამას; ეს კი, ყველამ იცის, ბედიანობის ნიშანია. რა ვუყოთ, რომ ანეულები ისეთი სწორი აღარ

იყო, როგორც წინად დაორივე მხარეს ხშირად გაუფხვერებელი ბელტები ეყარა; ამის შველა ხომ შეიძლებოდა.

ერთხელ საიდი ამოდ ერეკებოდა თავის კამეჩს: ის, მიჭედილივით იდგა და ადგილიდან არ იძრვოდა. ბაკში ისე გააოცა კამეჩის ჯიუტობამ, რომ ცუდი სიტყვაც კი უთხრა; მეგობრის წყენინება კი არ უნდოდა, ისე, მაგრამ ცხოველზე ლანძღვამაც არ იმოქმედა: კამეჩი თავს აქნევდა, თითქოს ულელის ჩამოგდებას ლამობდა, ფრუტუნობდა, ცახცახობდა, კბილები დაეკრიჭა, მის ცისფერ თვალებში შიში იხატებოდა.

— თავს უშველე, ჩქარა! — მოესმა საიდს ადინდას ძმების ძახილი. — თავს უშველე, საიდ! ვეფხი მოვიდა.

იმათ უკვე მოეხსნათ ულელი თავიანთი კამეჩებისათვის, განიერ ზურგებზე მოსხდომოდენ და მოჰქროდენ ბრინჯის ყანებით, სათიბებით, ბუჩქნარებით, გზების და მინდვრების გასწვრივ. როდესაც გაოფლიანებულები, აქლოშინებულები, შეშინებულები სოფელში მიცვიდენ, მათ შორის საიდი არ იყო.

მეზობლების შეძახებაზე საიდმაც გაათავისუფლა თავისი კამეჩი ულლისაგან, ზურგზე მოახტა და გაექანა, მაგრამ პირუტყვის მოულოდნელმა ნახტომმა წონასწორობა დააკარგვინა და გადმოაგდო. ვეფხი სულ ახლო იყო...

გაქანებულმა კამეჩმა ჯერ თავი ვერ შეიკავა და ჩაუქროლა იმ ადგილს, სადაც სასიკვდილოდ განწირული მისი პატარა პატრონი ეგდო, მაგრამ, აი, სძლია ძალას, რომელიც მას წინ იტაცებდა, ბავშს დაუბრუნდა, გადაალაჯა, თავისი მოუხეშავი ტანი ფარივით გადააფარა და რქები ვეფხისკენ მიიშვირა. მეტი დროც არ იყო. მხეცი გადმოხტა, მაგრამ ეს მისი უკანასკნელი ნახტომი იყო: კამეჩის რქებით



მუკელგაფატრული გაგორდა. ბრჭალებმა კამეჩის კისრიდან ამონაგლეჯი ხორცი ეჭირა. საიდი გადარჩა.

როდესაც საიდის მამას ეს კამეჩიც ჩამოართვეს, საიდი თორმეტი წლისა იყო. ადინდამ მაშინ უკვე ქსოვა იცოდა. მწარე ფიქრებს ართავდა თავის საქსოვს, რადგანაც საიდს მწუხარეს ხედავდა.

საიდს მამაც სწუხდა, მაგრამ დედა — ყველაზე მეტად. მან მოურჩინა კისერი ერთგულ ცხოველს, რომელმაც სწორედ იმ დროს მოაქროლა მისი გადარჩენილი ბავში, როდესაც დედამ ის-იყო დაიჯერა ადინდას ძმების მოტანილი ამბავი, საიდი ვეფხმა დაგლიჯაო. ხშირად წარმოიდგენდა, როდესაც კამეჩის სქელკანიან კისერს უცქეროდა, როგორ ღრმად ჩასწვდებოდა მისი შვილის ნაზ სხეულს ვეფხის ბასრი ბრჭალები: მათ ასე ღრმად ჩაეტანა კამეჩის მაგარ კანსა და ხორცში! მადლიერი დედა კამეჩს ეფერებოდა, ცდილობდა გაეგებინებია ცხოველისთვის, რარიგ უმადლოდა მას. როცა კამეჩი სასაკლაოზე მიჰყავდათ, მას უნდოდა ცხოველი მიმხვდარიყო, რომ ის სწუხს, და არ დამდურებოდა უმადურობისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ საიდის მამა ბადურიდან გაიქცა: მიწის ბეგარა ვერ გადიხადა და სასჯელის ეშინოდა. ახლა არც ვერცხლის ხანჯალი ჰქონდა, არც სამკაულები, რომ ახალი კამეჩი შეეძინა. ერთხანს ქირაზე მუშაობდა, მაგრამ ეს მუშაობა აუტანელი იყო და არც არაფერს არ იძლეოდა.

საიდის დედა ჯავრისაგან მოკვდა და მაშინ მამა სოფლიდან გაიქცა. იმედი ჰქონდა, რომ დიდ ქალაქ ბატავიის მახლობლად მდებარე ბუიტენცორგში სამუშაოს იშოვიდა; მაგრამ იქ ის დაიჭირეს და გაწკეპლეს, უპასპორტოდ რათ გამოიქეცი, და ბადურში დააბრუნეს. ბადურში კი ციხეში ჩასვეს, რადგანაც გიჟს ჰგავდა და ეშინოდათ, ცუდი რამ არ ჩაიდინოსო. ციხეში დიდხანს არ ყოფილა — მალე მოკვდა.

რა მოუვიდათ საიდის დას და ძმებს, არ ვიცით; მათი ქოხი ერთხანს ცარიელი იდგა; მალე დაინგრა: ის ხომ ლერწმისაგან ამშენებული და პალმის ფოთლებით დახურული იყო. იმ ადგილას, სადაც ოჯახმა ამდენი ტანჯვა ვაება გამოიარა, მიწის და ნაგვის გროვა ლა მოსჩანდა.

იავაზე ბევრია ასეთი ნანგრევი.

როცა მამა გაიქცა, საიდი 15 წლისა იყო. ის მამის გზას არ გაჰყვა. მას გაეგონა, რომ ბატავიაში მდიდარი ბატონები ცხოვრობენ და იქ სამუშაოს შოვნა შეიძლებაო. ეგებ სამ წელიწადში იმდენი შეაგროვოს, რომ ორი კამეჩი იყიდოს? ეს ოცნება ულიმოდა საიდს. როგორც ადამიანი, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



იცის, რასაც აკეთებს, ის ადინდასთან მივიდა და თავისი გეგმა გაუზიარა.

— აბა, იფიქრე,—უთხრა მან,— როცა დავბრუნდები, ორი კამეჩი გვეყოლება.

— რა კარგი იქნება! მე კი მანამდის ვრთავ და ვქსოვ, სულ, სულ ვიმუშავებ.

— მჯერა, ადინდა! მაგრამ... როცა დავბრუნდები, გათხოვილი რომ დამხვდე?

— საიდ! ხომ იცი, ეს შეუძლებელია. აკი ჩვენმა დედ-მამებმაც გადაწყვიტეს, რომ ჩვენ ცოლ-ქმარი ვიქნებით.

— შენ როგორ გსურს?

— მეც ასე მინდა.

— მაშ, როცა დავბრუნდები, შორიდან დაგიძახებ.

— ეგებ მაშინ ბრინჯის ლეწვა გვექნეს სოფელში და ველარ გავიგონო შენი დაძახება?

— მართალია. მაშ დიდი ხის ქვეშ მიცადე სოფლის გარეთ.

— როგორ გავიგო, როდის მოხვალ?

საიდი დაფიქრდა.

— სთვალე მთვარე. სამჯერ თორმეტი მთვარე რომ გაივლის, მოვალ. ყოველი ახალი მთვარე როდინზე ხაზით დაინიშნე. როცა სამჯერ თორმეტ ხაზს გააკეთებ, მეც აქ ვიქნები.

ხესთან დამიხვდი.

— კარგი, საიდ.

და საიდი წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქ სერანგში მივიდა, სადაც აგურის სახლები კრამიტით იყო დახურული. საიდი გაოცებული იყო, ამისი მსგავსი არაფერი ენახა. ერთი დღე იქ დაისვენა და საღამოს გზას გაუდგა. მზე რომ მაღლა ავიდა, საიდმა იმ მდინარესთან მიახწია, სადაც ქალაქი ტაჟერანგი მდებარეობს. იბანავა, გაგრილდა და ქალაქში შევიდა. აქ მისი მამის მეგობარი კაცი ცხოვრობდა. მასთან გაათია ღამე. მეორე დღეს მასთან დარჩა, ლერწმის ქუდების ქსოვა ისწავლა. გამომადგებაო, ფიქრობდა. კეთილ მასპინძელს მადლობა გადაუხადა და საღამოს გზას გაუდგა,

შებინდდა. საიდი ნაღველმა აიტანა.

პირველ დღეებში მხნედ მიდიოდა, მარტოობას არ გრძნობდა; სულ იმაზე ფიქრობდა, რომ ბევრ ფულს იშოვის და ორ კამეჩს იყიდის, ერთს კი არა, როგორც მამამისს ჰყავდა, ორს. შემდეგ სოფელში დაბრუნდება და ადინდას ნახავს...

მაგრამ რაც უფრო შორდებოდა საკუთარ სოფელს, მით უფრო ეცვლებოდა გუნება. ნაბიჯს უკლო. ჯავრი მოაწვა გულზე. როდის გაივლის სამჯერ თორმეტი თვე! დაბრუნდეს? მაგრამ რას იტყვის ადინდა? საიდი გამხნევდა და ნაბიჯს უმატა. თუმცა ისე მარდად ველარ მიდიოდა, როგორც პირველ დღეებში.

თავში მწარე ფიქრები ერეოდენ, გული სევდით ევსებოდა. რაღაცას ჩურჩულებდა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა. უცებ უნებლიედ მწუხარე, სევდიანი სიმღერა დაიწყო:

„ვინ იცის, სად მოვკვდები!
მე ზღვა მინახავს, შორეული ზღვა სამხრეთით—
მე და მამა იქ მარილს ვშოულობდით.

ზღვასთან თუ მოვკვდი, წყალში გადამაგდებენ.
მოსცურდებიან ნათელ-თევზები,
გარს შემომეხვევიან და იტყვიან:
„რომელმა ჩავყლაპოთ ეს მკვდარი,
წყალს რომ მიაქვს?
მე ამას ვერ გავიგებ.
ვინ იცის, სად მოვკვდები.
მე ვნახე, როგორ იწოდა ჰან-სუს ქოხი.
თვითონ ჰან-სუსმა დაწვა თავისი ქოხი,
მიტომ რომ გონება დაუბნელდა.
ცეცხლმოკიდებულ სახლში თუ მოვკვდი,
მუგუზლები დამაცვივა, სახლთან ხალხი შეიყრის თავს.
იყვირებენ და ცეცხლს წყალს დაასხამენ,
რომ მოაქრონ.
მე ამას ვერ გავიგებ.
ვინ იცის, სად მოვკვდები!
მე ვნახე, როგორ ჩამოვარდა პალმიდან სი-უნა,
დედისთვის რომ ფინიკების დაკრეფა უნდოდა.
პალმიდან თუ ჩამოვვარდი, მკვდარი ვეგდები ბალახში, როგორც პატარა სი-უნა.
მაგრამ დედა არ მოვა ჩემ სატირლად — ჩემი დედა მკვდარია.
უცხო ადამიანები იტყვიან: „აი, საიდი მოკვდა“.
მე ამას ვერ გავიგებ.
ვინ იცის, სად მოვკვდები.
ბადურში ბევრი მკვდარი მინახავს.
მათ თეთრ ტანისამოსს აცმევენ და მიწაში მარხავენ.
თუ იმათსავით ჩემ სოფელში მოვკვდი, სოფლის გარეთ დამმარხავენ აღმოსავლეთით.
იქ ადინდა გაივლის. ის ჩემ საფლავთან გაივლის ..
მე ამას გავიგებ!“

ბატავიაში მივიდა. ერთ მდიდარ კაცს სთხოვა, მოსამსახურედ ამიყვანეო; იმანაც მაშინვე აიყვანა, რადგანაც საიდი იავაურად ლაპარაკობდა და მალაური არ იცოდა. ბატავიაში სიამოვნებით იყვანენ მოსამსახურეებად ისეთებს, ვინც მალაური ენა არ იცის, ე. ი. ქალაქში ცხოვრებით არ არის გაფუჭებული. საიდმა მალე ისწავლა მალაური ენა, მაგრამ არ გამოცვლილა, ისევ გულმოდგინედ მუშაობდა, რადგანაც სულ ორ კამეჩზე და ადინდაზე ფიქრობდა. დიდი და ღონიერი გახდა, რადგანაც აქ ყოველდღე სჭამდა, ბადურში-კი არა. საიდი მეჯინიბედ მსახურობდა. ყველას უყვარდა. უფროსი მეჯინიბის ქალის შერთვა რომ სდომოდა, უარს არ ეტყოდენ. თვით ბატონსაც მოსწონდა ის და მალე ხელზე მოსამსახურედ გაიხადა და ჯამაგირი მოუმატა.

სამი წელიწადი რომ სრულდებოდა, საიდი ბატონთან მივიდა და დაეთხოვა, თან ძალიან ითხოვა სთხოვა, რომ სინდისიერად და კარგად ემსახურა. ასეთი საქციელი უმადურობად ჩამოართვეს, მაგრამ უარი არ უთხრეს.

საიდი გზას გაუდგა. მიდიოდა და ვერ ხედავდა, რა იყო მის გარშემო: სულ სხვა რამით იყო სავსე მისი გული: თავის სოფელზე ფიქრობდა და თავის საუნჯეებს სთვლიდა. თან ჰქონდა პასპორტი და ბატონისაგან მიცემული მოწმობა. ზურგზე მძიმედ სცემდა ბეჭზე გადაგდებული საისრე, — მაგრამ ეს ტვირთი ძლიერ სიამოვნებდა. ან რა გასაკვირია! შიგ ხომ ფული იყო — იმდენი ფული, რომ სამ კამეჩს იყიდდა. რას იტყვის ადინდა! გარდა ამისა, წელზე მოვერცხლილქარქაშიანი ხანჯალი ეკიდა, ტანისამოსის ნაოჭებში კი ვერცხლის ქამარი ჰქონდა შენახული — ადინდასათვის.

გზაში თითქმის არ შეუსვენია; მხოლოდ ქალაქ ტანჟერანგში შეუხვია ცოტა ხნით, სადაც მამამისის მეგობარი ცხოვრობდა. ბატავიის შემდეგ ქალაქი სერანგი აღარ ეჩვენა ისე ლამაზად, როგორც პირველად; როცა ცხენოსანი ოლქის უფროსი დაინახა, მაღალ ბალახში არ დამალულა, როგორც სამი წლის წინეთ, — რის უნდა შეშინებოდა ახლა?

როცა რომელიმე შემთხვევითი თანამგზავრი ამ კუთხის ამბებს მოუთხრობდა, საიდი თითქმის ყურს არ უგდებდა. მას უამბობდენ ყავის ახალი პლანტაციების შესახებ, კიდევ იმის შესახებ, რომ ერთი ოლქის უფროსი ციხეში ჩასვეს ხალხის მეტისმეტი ცარცვა-გლეჯისთვის, რომ წინანდელი ოლქის უფროსის სიკვდილის შემდეგ ახალი ჩამოვიდა, უფრო კარგი, საჩივრებით მისულ ხალხს არ ერეკება და არ ტუქსავს, რომ .. მაგრამ საიდი მათ ყურს არ უგდებდა. მას თვალწინ სულ სხვა სურათები ეხატებოდა: ის დიდ, გატოტვილ ხეს ხედავდა, რომლის ძირშიაც ადინდა ელოდა მას, ესმოდა ადინდას ხმა: „გამარჯობა, საიდ, მე სულ ვართავდი და ვესოვდი, ბრინჯს ვლეწავდი — შენზე ვფიქრობდი. შეხედე, აი, სამჯერ თორმეტი ხაზი ჩემს როდინზე. დღეს ახალი მთვარის პირველი დღეა და შენს შესახვედრად მოვედი. გამარჯობა, საიდ. მე შენი ცოლი ვიქნები“.

საიდის გულში ზეიმი იყო და გამვლელთა ამბები არ ესმოდა.

ბოლოს შორს დიდი შავი ლაქა გამოჩნდა, რომელიც ვარსკვლავებით მოკაშკაშებულ ცის ნაწილს ჰკრავდა — ეს მისი სოფლის განაპირას მდებარე ტყე იყო. აი, იქ, განაპირას რომ დიდი ხეა, იმის ძირში უნდა შეხვედროდა ხვალ მზის ამოსვლისას ადინდას. ბნელში დიდხანს ეძება ნაცნობი ხე. აი ისიც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდი ხის ძირში დაჯდა, ვარსკვლავებს შესცქეროდა. აი, ერთი ვარსკვლავი ციდან ჩამოცურდა, თითქოს მიესალმა სამშობლოში დაბრუნებულს.

საიდი ვარსკვლავებს შესცქეროდა და ადინდაზე ფიქრობდა: ნეტავი რას აკეთებს ახლ? ვაი თუ ანგარიში აერია და ერთი მთვარე გამოეპარა. მაშინ ხომ აღარ მოვა ხვალ! უთუოდ ბევრი ქსოვილი აქვს ახლა დამზადებული. ნეტავი ვინ ცხოვრობს ახლა მამის ნასახლარზე? მოაგონდა ბავშობა, დედა, კამეჩი, ვეფხის კლანჭებს რომ გადაარჩინა... რა ეშველებოდა ახლა ადინდას, საიდი რომ მაშინ ვეფხს დაეგლიჯა?

ადინდა უთუოდ გათენებისთანავე მოვა, როგორც მზის სხივი გამოაშუქებს.

ვარსკვლავები ბაცდებიან, ჰქრებიან, მაგრამ დაბლობს ჯერ ისევ სძინავს. მთები უფრო გაშავდენ და მკაფიოდ იხატებიან გაციაგებულ ცის ქვეშ, დროგამოშვებით ოქროს სხივები ცეცხლის ისრებისებრ აპობენ ღრუბლებს, მაგრამ მაშინვე ჰქრებიან და გარემოს ისევ სიბნელე მოიცავს.

საიდი ახლა მკაფიოდ არჩევს თავის სოფელს, პალმების ჩრდილში მიმამულს... იქ ადინდას სძინავს!

არა, როგორ შეიძლება, რომ ეძინოს. ხომ იცის, რომ საიდი უკვე ელის. რა თქმა უნდა, მთელი ღამე არ დაიძინებდა. დრო რომ შეამოკლოს, უთუოდ მუშაობს. სოფლის დარაჯმაც დაუკაკუნა კარებზე და ჰკითხა, რათ უნთია ასე გვიან ცეცხლი, და მან საამური ღიმილით უპასუხა, რომ აუცილებლად უნდა გაათაოს საქსოვი: აღთქმა აქვს დადებული, რომ ახალი მთვარის პირველი დღისთვის გაათავებს.

ან შეიძლება მთელი ღამე ბნელში იჯდა და როდინზე ხაზებს სთვლიდა, ხომ არ შევცდიო.

ახლა უთუოდ მზეს ელის ისე, როგორც საიდი. მზე კი არ ამოდის .. არ ამოდის...

მაგრამ, აი, ღრუბლებს კიდეები გაუწითლდა, ყველაფერი განათდა, გავარვარდა. ცეცხლის ისრებმა სინათლე გააპეს, ცხელი ოქროს სხივები ჰაერში აირივნენ, აკანკალდენ. ეს მზეა, დილის ცისკარია, ადინდასთან შეხვედრაა.

საიდს სოფელში შესვლა არ უნდოდა: იცოდა, რომ სადაცა ადინდა მოვიდოდა... მოლოდინი ისეთი ტკბილი იყო!..

დაჯდა და ნაცნობ ადგილებს დაუწყო თვალიერება. გული სიხარულმა და სევდამ შეიპყრო. აი, მარცხნით ხევია, ყვითელი, თიხნარიანი, იქიდან ერთხელ კამეჩი გადაიჩეხა. მთელი სოფელი შეიკრიბა საშველად. კამეჩის დაღუპვა ხუმრობა ხომ არაა! მაგარი თოკები მოიბეს და ხევში ჩაეშვენ. ადინდას მამა ყველაზე მარჯვე იყო... როგორ უხაროდა ადინდას! სულ ტაშს უკრავდა.

იქ, სოფელთან კი, კოკოსის პალმები რომ ირხევიან, იქ ჩამოვარდა პატარა სი-უნა და მოკვდა. როგორ ტიროდა დედამისი! „ასეთი პატარა მაინც არ ყოფილიყო“, ჩიოდა, თითქოს სი-უნა დიდი რომ ყოფილიყო, ისე არ ეწყინებოდა მისი სიკვდილი. მართალია, ძალიან პატარა კი იყო, ადინდაზე პატარა და სუსტი.

ბადურიდან მომავალ ბილიკზე არავინ სჩანდა. „ჯერ ადრეა,— ფიქრობდა საიდი,—სადაცაა მოვა“.

ერთ ხეზე ციყვს მოჰკრა თვალი. დიდხანს უცქირა მის ხტუნვას და თამაშს და გული გადააყოლა. ციყვიც მიიმალა. ბილიკზე არავინ მოსჩანდა.

აგერ, პეპელა ყვავილებს დასტრიალებს, მისი ჭრელი ფრთები მზეზე ბრჭყვიალებენ.

ბილიკზე კი არავინ მოსჩანს.

მზე მაღლა ავიდა. ჩამოცხა.

„მოდი წავიდე ბადურში? მაგრამ ხომ მოვა? უთუოდ! დაქანცულს ჩაეძინა დილით.

აი, ვილაცა კამეჩს მიერეკება მინდვრისკენ. დავუძახო? არა, მეტად შორსაა... ან რათ უნდა ვკითხო ადინდას ამბავი სხვას: ახლა მალე მოვა.

საიდი მზადაა იცადოს... სულ იცადოს...

ვაი თუ ავადაა... ან თუ მოკვდა?

შემკრთალ ირემივით გაეშურა ბილიკზე. არაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, არ დაუნახავს, რომ სოფლის თავში ვილაცეები იდგენ და ეძახოდენ: „საიდ, საიდ!“.

როგორ ვერ იპოვნა ადინდას სახლი! სოფელი ჩაათავა და ახლა უკან გამოექანა. როგორ ვერ იცნო ადინდას სახლი? მაგრამ ისევ სოფლის თავშია. სიზმარი უნდა იყოს—ისევ ჩაუარა ადინდას სახლს! ისევ ვერ იცნო! უკან ეცა, უცებ შედგა და ხელები თავში იტაცა. „გავგიჟდი, გიჟი ვარ, გიჟი!“.

ბადურელი ქალები თანაგრძნობით შესცქერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ საიდს: მიხვდენ, რომ ადინდას სახლს დაეძებდა, მაგრამ ადინდას სახლი ბადურში აღარ იყო.

„როდესაც ოლქის უფროსმა ადინდას მამას კამეჩი ჩამოართვა, ადინდას დედა ჯავრისაგან მოკვდა, ადინდას პატარა დაც მოკვდა, მიტომ რომ დედა აღარ ჰყავდა, რომ ძუძუ ეწოვებია; მამას მიწის ბეგარა არ ჰქონდა გადახდილი და სასჯელის ეშინოდა. ამიტომ ბადურიდან გაიქცა; ადინდა და მისი ძმებიც თან წაიყვანა. მან იცოდა, რომ საიდის მამა ბუიტენცორგში დაიჭირეს და გაწკეპლეს; ამიტომ არც ბუიტენცორგში წავიდა, არც ბატავიაში... ის შორეული ოლქისკენ გაემართა, ზღვის ნაპირისკენ. იქ ტყეში იმალებოდა და იმათ შეუერთდა, რომელთაც დასჯის შიშით ქოხები დაეტოვებიათ და გამოქცეულიყვნენ. ღამით სათევზაო ნავი მოიტაცეს ჯერ დასავლეთისკენ მისცურავდენ, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ; კლდიან კუნძულს ტანაიტამს რომ მიახწიეს, აღმოსავლეთით ჩაუარეს და უბეში შესცურეს, იქ აჯანყებულებს შეუერთდენ“!—ასე ჩურჩულებდენ ბადურში, როცა ლაპარაკი გადასახადებს და ჩამორთმეულ კამეჩებს შეეხებოდა.

მაგრამ საიდს ცუდად ესმოდა, რასაც ეუბნებოდენ. სდუმდა და მკვდარი თვალებით ვერაფერს

მაგრამ ბადურელები სცდებოდენ—საიდი ბადურში არ იყო.

ერთხელ, ღამით, როცა მთვარე არაჩვეულებრივად ანათებდა, ის ადგა, სახლიდან გამოვიდა და წავიდა იმ ადგილის საპოვნელად, სადაც ოდესღაც ადინდას ქოხი იდგა. დიდხანს ეძება, რადგანაც სამ წელიწადში სოფელს მრავალი ნანგრევი მომატებოდა.

ბოლოს იპოვა. პეშვით მიწა აიღო... აქ ცხოვრობდა ადინდა... საიდი მძიმედ სუნთქავდა...

მეორე დღეს მოხუც დედაკაცს ჰკითხა, ხომ არ იცის, სად არის ადინდას როდინი. მოხუცს გაეხარდა, რომ საიდი ალაპარაკდა და როდინის საძებრად გაიქცა. მალე დაბრუნდა და საიდი როდინის ახალ პატრონთან წაიყვანა.

საიდი უსიტყვოდ მისდევდა; როდინს მიუახლოვდა და ზედ ოცდათორმეტი ხაზი დასთვალა...

შემდეგ მოხუც დედაკაცს იმდენი ფული მისცა, რამდენიც ერთ კამეჩს უყიდდა, და ბადურს გაშორდა. ზღვასთან მივიდა, სათევზაო ნავი იყიდა და იმ ადგილისკენ გასწია, სადაც აჯანყებული იავაელები ჰოლანდიელებს ებრძოდენ. ერთ რაზმს შეუერთდა.



ხედავდა, ვერავის სცნობდა. ბოლოს მან გადიხარხარა—ეს საშინელი ხარხარი იყო.

ერთმა მოხუცმა დედაკაცმა თავის ქოხში წაიყვანა და უვლიდა. საიდი აღარ იცინოდა, მაგრამ არც ლაპარაკობდა. მხოლოდ ღამ-ღამობით ესმოდათ შიშით აკანკალებულ მასპინძლებს მისი სიმღერა: „ვინ იცის, სად მოვკვდები“...

ყველას ეგონა, რომ საიდი გაგიჟდა.

ერთხელ, როდესაც ჰოლანდიელებმა იავაელები ისევ დაამარცხეს და სოფლებს ცეცხლი წაუკიდეს, საიდი ერთი ასეთი სოფლის გარშემო დაეხეტებოდა. მან გაიგო, რომ აქ ამოხოცილები უმთავრესად მისი სოფლიდან იყვნენ. საიდი მოჩვენებასავით დადიოდა გადაბუგულ ქოხებს შორის. ადინდას მამის ცხედარს წააწყდა: ხიშტით გულგაგმირული ეგდო; გვერდით ადინდას სამივე ძმა ეყარა, ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშორებით - ადინდა, შიშველი საშინლად დამახინჯებული...

რამოდენიმე ჰოლანდიელი ჯარისკაცი ხიშტებით ერეკებოდა გადარჩენილ მეამბოხეებს ციცხლში.

საიდი მათკენ გაექანა, ხიშტებს ხელები წაავლო, გულით ეძგერა და უკანასკნელი, უცნაური ძალის მოკრებით ჯარისკაცებს უკან დაახევინა და... ზურგამდე განგმირული ხიშტებზე წამოეგო...

. . . . . .

ბატავიაში, კუნძულ იავას მთავარ ქალაქში, დიდი ზეიმი იყო. ძლევამოსილმა, ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებულმა ჯარმა უიარაღო ყვითელი მეამბოხენი დაამარცხა. გუბერნატორმა ჰოლანდიაში სასიხარულო ცნობა გაგზავნა, რომ მშვიდობა აღდგენილია. მრავალი ჯვარი და მენდალი ებოძა მეფისაგან ოფიცრებს და ჯარისკაცებს გაკადნიერებული ყვითელკანიანების ამოხოცვისთვის.

ჰოლანდიის მხედრობისათვის გამარჯვების მინიჭების გამო ეკლესიებში მლვდლები პარაკლისებს იხდიდენ და ადიდებდენ მოწყალე ღმერთს, რომელმაც გამარჯვება არგუნა ჰოლანდიის იარაღს.*)

პ. მ.

---

*) ყველა ქვეყნის მექარხნენი და მემამულენი შეუბრალებლად სჩაგრავენ და ავიწროებენ თავისი მოგებისთვის მუშებსა და გლეხებს. მაგრამ კიდევ უფრო საგრძნობია ექსპლოატაცია დაპყრობილ შავკანიან, წითელკანიან და ყვითელკანიან ხალხებისა, რომელთაც ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია ისე ექცევა, როგორც მონებს, ანადგურებს მძიმე გადასახადებით, აიძულებს მათ იმუშაონ ზედმეტი საათები. მათ შეუბრალებლად სცემენ, ხვრეტენ, უმნიშვნელო წინააღმდეგობისათვისაც კი სწვავენ მათ სოფლებს და სხვ.

ჰოლანდიელი მწერალი მულტატული, რომელიც კარგად იცნობს ჰოლანდიის მიერ დაპყრობილ კუნძულ **იავას**, აგვიწერს იმ მხეცობას, რომელსაც იჩენენ კაპიტალისტები ამ კუნძულის მცხოვრებლების მიმართ, აგვიწერს იმას, თუ როგორ არის შევიწროებული, ფეხქვეშ გათელილი და აბუჩად აგდებული დაპყრობილი ხალხის უფლებები და ცხოვრება ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

საჭიროა ეს პატარა მოთხრობა ყველამ დიდი გულდასმით წაიკითხოს და შეადაროს იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობს ჩვენში, ს. ს. რ. კ.—ში, და დარწმუნდეს, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მიანიჭოს სრული თავისუფლება და თანასწორობა ყველა ხალხებს.

რედაქცია

პირველი მაისი.

ვემზადები საზეიმოდ,
დღეს პირველი მაისია,
ვხედავ მუშის გამარჯვებას,
ჩემს გულშიაც ხალისია.

—

ძველად ამ დღეს მუშა დროშას
მაღლა სწევდა დამალულად,
თუ ნახავდენ მტარვალები,
სისხლში სვრიდენ ვერაგულად.

—

ეს დღე იყო საკავშირო
მტკიცე ფიცის დასადებად,
შრომის დაცვის, ერთა შორის
ძმობის ხიდის გასადებად.

—

მუშამ თავის შრომის დროშას
ბევრი სისხლი დაანთხია,
მაგრამ მტერმა სისხლის დროშა
ვერ წაართვა, ვერ დახრ[illegible].

—

მუშის ბრძოლამ გააშ[illegible]
ერთობა და სიყვარული,
დღეს ფრიალებს შრომის დროშა
ოქრომკედი[illegible] მოქარგული.

—

გაუმარჯოს პირველ მაისს,
ხალხთა შორის ძმობის დღეს,
მტარვალები შეიმუსრენ,
ვერ იხილვენ დღეის მზესა!..

—

დღეს პირველი მაისია,
მუშა აღსდგა, სძლია მტარვალს!
გაუმარჯოს პირველ მაისს,
მის აწმყოსა და მომავალს!

მე-5 ჯგ. მოწაფე **მარგალიტა გველესიანი.**

[illegible] ბიბლიოთ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრიალეთის კალთებზე.

(ლეგენდები და სინამდვილე)

აშურიანის ველზე

ორთქლმავალმა შეჰკივლა და მატარებელი გველივით შესრიალდა სადგურზე. შეჩერდა...

— მეტეხი!—დაიძახა კონდუქტორმა.

რამოდენიმე მგზავრთან ერთად მონადირენიც გადმოვიდენ.

— ჰო, წელან რას ამბობდი, გიორგი, ამ მთებზე!—შეეკითხა ერთი მონადირეთაგანი ზემომხრელ თანამგზავრს და აბგა გაისწორა, თოფი მხარს გადიგდო და ხელი გაიშვირა რკინის გზის ლიანდაგიდან რამოდენიმე საჟენით მარჯვნივ მდებარე აშურიანის დიდი ველისაკენ, ანაცრისფერებულ კლდის ფლატეთა გრძელ პროფილებისკენ...

— ბევრია ამ მხარეში ბუნებრივი სიმდიდრე, რომლითაც სავსეა როგორც მთელი საქართველო, ისე ეს მხარე. იქ, იმ მთებში, ბევრია ცემენტის ქვა, ქვანახშირი და კარგი ღირსებისაც. იქ ამ თორმეტიოდე წლის წინად ქარხნების აგებას აპირებდა ცნობილი მილიონერი მან—შევი, მაგრამ ასტყდა მსოფლიო ომი და იმ საქმესაც შეეშალა ხელი,— მიუგო მან.

გასწიეს ბორანისკენ.

მტკვარი რკინის გზის ლიანდაგს ჩამოუდის მარცხნივ და აშურიანს ეკლაკნება ვერცხლის ბუზმენტად...

— მართალია, მაგრამ თუ სარწყავი არხი იქნა გაყვანილი, მოსავალი დიდი ეცოდინება,—მიუგო სოსომ მეტეხელ გლეხს, რომელმაც აშურიანის ველზე დაუწყო ლაპარაკი და სჩოდა გვალვიანობაზე, რომელსაც ხშირად აქვს აქ ადგილი.

აჰა, მთელი ამ ხნის სანატრელი დაწყება – მეტეხის ხიდი.

განუწყვეტლად მუშაობენ...

— მალე დაამთავრებენ?

— ამბობენ, ჰოოდეო და ვინ იცის,—გაისმა პასუხი.

წითელი ქალაქის რაიონი კარგა მოზდილია, რამოდენიმე ათეული სოფლით გარშემორტყმული...

ზემოდან თრიალეთის მთათა ტყიანი ქედები, დაბლა გადაჭიმულა მინდვრები, ნოყიერ ხოდაბუნებად აკვალული; ვენახები, ხილის ბაღები, მრავალი წყარო, მდინარე; ქართლის ერთი ულამაზესი მხარე, ჯანსაღი ჰავა; მშვენიერი შენობები ლამაზი კარ-მიდამოებით, განათლების ჩირაღდნით თანდათან წინ მავალი; ხალხი ღონიერი, შრომისმოყვარე; რევოლუციონური წარსულით, ისტორიულად ცნობილი, ლეგენდების ბუდე...

— ჰო, ამ ხიდის დამთავრებას სასოებით შესცქერის მთელი მხარე, ეს რამოდენიმე ვერსით აახლოებს რაიონს რკინის გზასთან,—განაგრძობდა გიორგი, რა სოფლისაკენ უნდა აეხვია და ემშვიდობებოდა მონადირეებს, რომელთაც პირი მარჯვნივ ჰქნეს თეძმისკენ...

— გმადლობთ, გიორგი, იქიდან ჩამოვლისას შემოგივლით,—ეუბნებოდა სოსო, რადგანაც გიორგი არ ეშვებოდა.

— ცოტას შევნაყრდეთ, ბარემ დაისვენებდით კიდეც და...

არ ეშვებოდა.

გამომშვიდობება, .

— აქედან ახლოა მანგლისი, მცირე მთიულეთი, ჯავახეთი; ეს ხიდი რომ გაკეთდეს, როგორც ამბობენ, რკინის გზაც გავა აქედანაო იქ, და... სიხარულით ამბობდა გამყოლი მახარა.

გააბეს მუსაიფი...

ბარნაბიანთ კარის გზად შემოეყარათ ჭოპიანთ-ხეველი გოგლა, რომელსაც ადრევე ჰქონდა ცნობა ამათი მოსვლის შესახებ...

მიესალმენ ერთმანეთს.

გოგლა ამ მხარეში განთქმული მონადირეა, საქართველოს მონადირეთა კავშირის წევრი, და თითქმის ყველა მოსულს იცნობდა კარგად...

თეძმის ხეობა.

მსუქანი შემოდგომაა...

ქარი ნელა არხევს ალვის ხეებს, რომელთა ჩრდილნი დიდებულად გაწოლილან ორღობეში...

შარიშურობენ უკვე აქარვისფერებული ფოთლები...

აქა-იქ ჯერ კიდევ მოსაკრელი სიმინდის ტაროებს აბრეშუმისავით ქუჩუჩები გადმოუყრიათ თმებად...

ბალებით ლოყაწითელი ვაშლები ჩასაკბეჩად იწვევენ მაყურებელს...

ფირუზბეჭდიან ცის კაბადონზე აქა-იქ გაწოლილან ლეგა ღრუბელთა ქარავნები...

— ასეთი განიერი რიყე და ასე პაწია მდინარე?! — წამოიძახა სოსომ გაკვირვებით.

— ო, ეხლა ასეთია მაგრამ, აბა, გაზაფხულზე ნახე? თეძამმა ერთხელ იცის ხოლმე ველური მოვარდნა და მაშინ ყველაფერსა ჰლეკს... ეხლა კი, აბა, რა გითხრათ, სადაც ტყე იკაფება, იქ წყლებიც შრება, და ასეთს დაუდევრობას იმ ლამაზ ტყეშიც ჰქონდა ადგილი წინად, — მიუგო გოგლამ.

— ის რა ხვრელებია? — იკითხა ვანომ და ხელი გაიშვირა მდინარის მარცხენა მხარეს, ციცაბო კლდეთა პროფილებზე.

— ეგ ქვახვრელებია, სამალავები. მანდ თურმე ჩვენი წინაპრები იმალებოდენ ძველად, როდესაც ურიცხვი მტერი დაესხმოდათ თავს და იძლეოდენ ბრძოლაში მცირერიცხოვნობით; ის დრო ჩვენს მხარეში „ლეკიანობადაა“ ცნობილი, — მიუგო გოგლამ.

— ეს მხარე ლეგენდების ბუდეა. ეხლაც არიან მოხუცები, რომელთა საუბრის მოსმენა არაა ინტერესს მოკლებული, — განაგრძობდა ის.

— რა ლამაზადაა შეფენილი ფარა ფერდობზე! — წარმოსთქვა ვანომ და შესდგა. ბუნების სილამაზესთან ერთად ატყვევებდა ეს სურათი კალობნის ნიშის.

გოგლამ ჩაიცინა.

— რა გაცინებს? — გაოცდა ვანო.

— არაფერი, ისე... შორიდან მართლაც ეგრე ჰგონია ყველას, მაგრამ ის ქვებია...

— როგორ?! მეცხვარეც, კომბალზე დაყრდნობილი?

— არა, აქედან ეგრე სჩანს, შორიდან; ნამდვილად კი კლდით მოგლეჯილი ლოდებია, თუმცა ლეგენდა ამბობს, რომ, აგერ, მწვერვ ლზე რომ წამომდგარა კალობნის ძველი, პაწია საყდარი, თითქოს ორბის ბუდეაო, ეს ადგილები მისად იყო მიჩნეული და წმინდა ადგილად წოდებული, სადაც ყველა სულდგმულს აკრძალული ჰქონდა გავლა, მაგრამ ერთი მწყემსი არ შეუშინდა ამას და ცხვარი შედენა საძოვრად. ამ დროს ცამ შუბლი შეიკრა, ელვა აეკლაკნა ღრუბლებს, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, სეტყვა და რამოდენიმეჯერ ზედიზედ დაეცა მეხი; რა გადაიდარა, ნახეს მწყემსი და ფარა გაქვავებულიო, — განაგრძობდა მოთხრობას გოგლა მხიარულად.

ღლეობაზე

ის ღამე გოგლასთან გაათიეს ჩვენმა მონადირეებმა.

მიყვარხარ, დიდო ლიახვო!

მიყვარხარ, დიდო ლიახვო,
თავზე გევლები მარადა;
ჩემს გულში შემოიჭერი
ანაზდად, თავისთავადა.

ხშირად შენს ტურფა ნაპირზე
დღე შემიცვლია ღამითა
და, გეფიცები, ვყოფილვარ
ყოვლთვის მადლიერ ამითა

გავუტაცნივარ ოცნებას
თავის მსუბუქი ფრთებითა;
შენს სათავიდან ბოლომდე
მიყიალნია მთებითა.

დავმტკბარვარ შენის ყურებით,
სულს მისცემია შვებაო;
ათიათასჯერ მიძღვნია
შენს დიდებისთვის ქებაო.

—

მიყვარხარ, დიდო ლიახვო,
მედგრად მოხვალ და გრიალებ;
გზას ვერ შეგიკრავს ვერავინ, —
უმალვე გაატიალებ.

თუ ხარ კმაყოფილ, — ლიკლიკებ
ბავშის საამო ხმაზედა;
თუ გაგაჯავრეს, — მეტოქეს
რისხვას დაატეხ თავზედა!

არ მოისვენებ არასდროს —
შენთვის ეს არა სწერია;
არ მოსწრებია ამ ამბავს
ჯერ შენი ფართე ფსკერია.

თავისუფლების შვილი ხარ,
ფეთქ და მოძრაობ მარადა, —
იმიტომ გულს შემომეჭერ
ანაზდად, თავისთავადა.

შესაფერი გყავს შვილებიც,
გულში რომ გეხუტებიან;
თავისუფლების ტრფიალნი,
მხოლოდ იმისთვის კვდებიან.

შეხედე, რარიგ მიჰქშუის
და ლახავს დაბრკოლებასა, —
ვინ დაიმონებს ორაგულს,
მის უსრულებელ ნებასა!

მურწა, ციმორი, კალმახი
შესტრფიან მზისა სხივებსა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს ნაშხეფს თავზე იბნევენ,
როგორც ალმასის მძივებსა.

—

მიყვარხარ, დიდო ლიახვო,
სიმბოლოვ მოძრაობისა,
თავისუფლების, ერთობის
და განუყოფელ ძმობისა!..

დ. ელიოზიშვილი.

მეორე დილას ხეობით უნდოდათ ასვლა მცირე მთიულეთში, რომელიც სულ ორიოდე ვერსზეა აქედან, თრიალეთის კალთებზე, რომლის მაღალ მხრებზეც თითქოს ხურჯინის თვლებივით გადაკიდულან აქედან ქართლი და იქიდან შორი ჯავახეთი და სამცხე-საათაბაგო. იმათ შენიშნეს შარა გზაზე ყოველმხრით მომავალი ჩარდახიანი ურმები.

— რაა, შვილო, დღეობაში არ წამოხვალ? ბარემ ე ჩვენი სტუმრებიც წამოიყვა, და... მოაგონა გოგლას დედამ.

— მართლა, დღეს ერის მოდენის დღეა, ხვალ წმ. ესტატობაა, აის ურმებიც სულ იქ მიდიან, წავიდეთ ჩვენცა, იქ ნათლიმამა მყავს და... დაიწყო გოგლამ.

— რომ დაგვიგვიანდეს?

— არა, იქიდან უფრო ახლოა ტყე.

გასწიეს

გზაში გოგლა თავისი ოხუნჯობით ართობდა ყველას.

— სადაა ის ეკლესია? იკითხა სოსომ, როდესაც ჭანჭახების ძეძვიან ბუჩქნარს შეესიენ ვიწრო ბილიკით.

— აგერა, იმ სოფელს ხედავ, მაღლობზე რომ მოსჩანს ორბის ბუდესავით? მაგრამ სსუ...

გაინაბენ მონადირის სიფრთხილით.

— რა არის?—წაიჩურჩულა ერთმა.

— შეხედე!—უთხრა გოგლამ და ანიშნა კორდზე წამოცუცქულ კურდღელზე, რომელიც ულვაშების ცმაცუნით ზვერავდა მონადირეებს.

— აქ სავსეა, ბუჩქებში,—გადაუჩურჩულა გოგლამ სოსოს, რომელიც უკვე ნიშანში იღებდა. იგრიალა თოფმა და კურდღელი შეკუნტრუშდა, შეხტა და აღმა გაჰქუსლა ბორძიკით.

— მოხვდა!

ვანოს მწევარი დაოთხილი მისდევდა.

— ჰო, რა უნდა გეთქვა იმ სოფელზე? მოაგონა ნიკომ.

— აგერა, გუშაგივით რომაა ამართული ეკლესიის საყდარი, წმ. ესტატეს სახელობაზეა. საქართველოში მარტო აქაა, მაგ სახელობის ნიშები კი ბევრგანაა; მაგაზე ამბობენ, მეხუთე საუკუნეშია აშენებულიო.

— მე მაგ წმინდანებისა არაფერი მწამს!—ჩაერია ვანო.

— ეხლა მოჰყე შენცა! რა ვუყოთ, რომ არ გწამს... საჰაგიეროდ ჩვენს წინაპრებს ხომ სწამდათ? მიო უმეტეს, რომ ესტატე უწინ მონადირე ყოფილა და აკი ეს მხარეც მონადირეობით განთქმულია. საქართველოში მუდამ საპატიო ადგილი ეჭირა მონადირეობას, - მიუგო გოგლამ.

— ჰო, რადგანაც ისიც მონადირე ყოფილა, კარგი იყო გაგვეგო ჩვენი წინაპრის ამბავი, —წარმოსთქვა სოსომ ღიმილით და კურდღელი გადაიკიდა თოფით მხარზე.

— ამ სოფელში ერთი მონადირე იყო, განთქმული, სოფლის თვალი, ლამაზი გლეხი, მხარბეჭიანი, მოლექსე, მოშაირე, რომელსაც ძველმა მთავრობამ, ათას ცხრაას ხუთი წლის მოძრაობაში მონაწილეობისათვის, წითელი რაზმის მეთაურობის გამო, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, მაგრამ ოცი წლის კატორღად შეუცვალა. იქ მოკვდა, ციმბირში, საკატორღო ციხეში; ტყვიას ბეჭედში აძვრენდა. რაც ის აღარაა, ძალიან გამრავლდენ ეს ვერანები,—სთქვა გოგლამ, რადგანაც მონადირეები გაკვირვებული იყვნენ უამრავი კურდღლების და მელების მათ გზაზე გადარბენით.

— დათვი, მგელი, ტურა აქეთ ბევრი იცის და ის მუსრს ავლებდა ხოლმე. ირემი, შველი, ჯიხვი იშვიათად-ღაა: ხალხი მონადირეობას მისდევს და ისინიც დაფრთხენ, გადაიკარგენ საითღაც, უფრო კი ბორჯომის ხეობისკენ. ის უშლიდა ხოლმე ნადირობას ამეებზე, მას უნდოდა, რომ ეს სანუკვარი ნადირი გამრავლებულიყო აქეთა მხარეში. ის მოძრაობის დროს, აი, ერთობას რომ ეძახდენ 1905 წ. მესკამურა იყო (ასე ეძახდენ გლეხები მაშინ აგიტატორებს ქართლში).

მან წერა-კითხვა თურმე თავისით შეისწავლა მწყემსობაში: თოვლზე კომბლით სწერდა, ზაფხულობით ხეებს ჩამოსთლიდა და დანით სწერდა. ტყეში ეხლაც შეხვდებით მრავალ ხეს, სადაც მისი ლექსებია ამოჭრილი.

მცირე მთიულეთის მცოვრებნი ხომ თითქმის ყველანი ასევე სწავლობენ ხოლმე. ბევრი მათგანი კარგი მოლექსე-მოშაირეა... მონადირეობას, მესაქონლეობას და მეცხვარეობას მისდევენ; აგერ იმ ტყის გადაღმა ცხოვრობენ; მაგათი უმრავლესობა დიდ მთიულეთიდან—ფშავ თუშეთიდან—არის გადმოსახლებუ-

ლ.; ფშავები და თუშები აქეთ მოერეკებიან ხოლმე ცხვარს ზაფხულობით დიდი თრიალეთის საძოვრებზე; აქედან არაა ძალიან შორს.

— ჰო, შენ იმ ტაძარზე ამბობდი რალაცას,— გაუკრა ვანომ, რომელიც ლეგენდების მოყვარული იყო.

— ახლავე...

ერთაწმინდა.

სიომ ფრთები ააფარფატა ანცად...
ბუჩქები შეირხენ...
მზე აიწურა...

ავიდენ ლეგენდარულ სოფელში, რომლის სილამაზე ხიბლავდა ყველას: უკან ტყე, წინ — დაცემული მინდვრები, ვენახები. შორს მოსჩანს კავკასიონის მუდამ თეთრი მანდილით თავწაკრული, ცად აბჯენილი ქედები, რომლის იქიდანაც, ყოველ დილით, რა მზე ამოგოგდება ღიმილით, პირველ კოცნას ამ სოფელს შესთავაზებს, რადგანაც ესაა პირველი მაყარი მისი შეხვედრის, მაღლობ ადგილზე.

ხალხი მარდი, ცოცხალი გამოხედვა, პოეზიით გატაცება...

ამას ხელს უწყობს თვით აქაური წარმტაცი ბუნება...

ამ სოფელზე გამოთქმული ხალხური ლექსი ახლაც გაისმის ხოლმე ფანდურის სიმებზე დამღერებით:

— ჩემო ლამაზო სოფელო:
წინ მინდორო, უკან ტყეო;
ქალებისა სათამაშო,
ვაჟებისა სამოთხეო...

საქართველოს ყოველი კუთხიდან, როგორც მთიდან, ისე ბარიდან, მოდიან აქ სალოცავად: ქართლიდან, კახეთიდან, მთიულები, ოსები, რომლებიც აქვე ცხოვრობენ, ბერძნები შორი წალკიდან მოდიან თავიანთი ეროვნული მუსიკის ხმაურობით, რომელიც ჩვენებურ ზურნას ჰგავს...

ტფილისიდან, გორიდან ამოსული კინტოები ატრიალებენ არღნის კორმას, ერთი მათგანი შეზარხოშებულა და სველი ხალათით ბუქნას უვლის, ბაღდადის გაშლით, სადღეობოდ აგებული ფანჩატურის წინ. არღნების ხმაურში ირევა დოლის ცემა, ზურნის ჭიჭყინი, საზანდრის დაკვრა, ბრმა მეჩონგურის ბაიათი, რაჭელი მესტვირის ზუზუნი მოსწრეული შაირით...

ყველა ეს ხალხი ამოსულია ტრადიციულ დღეობაზე ფულის საშოვრად, ზოგიერთი მათგანი მერამდენე წლებია დადის...

აგერა გალავანში სახელდახელოდ გამართული სავაჭროები, საქართველოს ყოველი მხრით მოსული მეწვრიმალეები; ფოჩიანი კამფეტები, ბლოთები, ნადისხურმა, ქაშმიში, ალჯანაბადი, ლატარია, სიოჯული-კახური რუმბებით; იმერეთიდან ქვევრები, ჭურჭელი მოუტანიათ, მთიულებს ცხვარი ჩამოურეკიათ...

მლოცავები...

დედაკაცები თავზე თეთრ ხილაბანდწაკრულები..

— მე მიკვირს, ნუთუ ამ ხალხს მართლა სწამს კიდევ ეს ხატები, წმინდანები? გაკვირვებით წარმოსთქვა სოსომ, რა გალავანში შევიდენ და ამ სურათს უკვირდებოდა.

— არა, სწამთ და არცა სწამთ,—მიუგო გოგლამ.

— როგორ?!

— როგორ და, სწორედ გითხრათ, ქართველი ხალხი არადროს არ ყოფილა მორწმუნე ქრისტიანი...

ჩვენი მოხუცი გლეხები ეხლაც კი, როდესაც დილით ადგებიან, პირს დაიბანენ და სახლიდან გავლენ სამუშაოდ ვენახში ან ნაფუზარში, ქუდს მოიხდიან, მზეს შეხედავენ და იტყვიან: დილის მადლო, შენ შემეწიე და მომიმართე ხელიო.

ეკლესიას არც კი შეხედავენ, თუმცა დღეობების დროს, უქმე დღეებში შედიან წირვა-ლოცვაზე, მაგრამ ეს უფრო მიეწერება ადათს, რომელიც საუკუნეებითაა ჩანერგილი, და ეს დღეობაც ასეთივეა; დღეობა უფრო იმისათვის იზიდავს გარშემო მყოფ სოფლებს, რომ აქ წელიწადში ერთხელ მაინც შეხვდება თავის ნაცნობს, მოკეთეს, მოყვარეს; ახალგაზრდობა ხომ დროს გასატარებლად დაიარება, უფრო კი ისინი, რომელთაც აქ ჰყავთ მოკეთეები; მე ერთი დღე მაქვს წელიწადში სალხინო, ამ დღეს მსურს შევხვდე ყველა ჩემ მტერ-მოყვარესო,—გეტყვის აქაური; ის მთელ წელს მუშაობს ბინაზე, ვენახში, მაგრამ ამ დღეს კი ლამაზად ხვდება, უყვარს თავის გამოჩენა...

ამ დღეს ხდება მრავალი ქორწილი, ნათლობა, ეს თითქოს ერთგვარ ეკონომიასაც ჰგავს ნადიმებზე ხარჯვაში, სადაც რამდენიმე თვის ხორაგეულს ერთ კვირაში გაანიავებს ხოლმე მასპინძელი ოჯახი, და აქ დღეობა ერთ კვირამდის გრძელდება; ესაა ძველი სტილით 20 ენკენისთვეს, ახალით — 3 ღვინობისთვეს.

ამ დღეობაზე ხდება ხოლმე ხშირად აგრეთვე მრავალ საქორწინო ახალგაზრდათა პირველი ღიმილი, გაცნობა, თვალის გადაკვრა, გარიგება, ბელგის ბიცემა, ბევრნი განსაკუთრებით ამისათვის უფრო მოდიან, — ამბობდა გოგლა.

ჩვენს მონადირეებს ზოგი ტფილისელი ნაცნობიც შეხვდა აქ, სადაც ერთმანეთს გაკვირვებით ეკითხებოდენ, თუ რამ ამოიყვანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჭრილი მკლავი.

ყვითელი თლილი ქვით აზიდულა ტაძარი ძველ ჩუქურთმებში... როგორც ისტორიული დიდება, ნაშთი მოკლებულია მზრუნველობას.

— ეს მკლავია ამ საყდრის აღმშენებლისა,— უთხრა მასპინძელმა, გოგლას ნათლიმამამ, სტუმარ მონადირეებს, რა გალავანი დაათვალიერეს ეკლესიის გარეთ, და შესავალი კარის ზემოდ ქვაზე გამოქანდაკებულ მკლავზე ანიშნა.

— როგორც გარდმოცემა ამბობს, მცხეთის ტაძრის აღმშენებელმა ოსტატმა რა ნახა, თურმე, ჩემმა შეგირდმა უკეთესი ააშენა ესაო, მარჯვენა მკლავი მოსჭრაო; ეს იმ შეგირდის მკლავია ამოჩუქურთმებული,— განაგრძობდა მასპინძელი მიხა.

— აქ ბევრი უძველესი ამბავი, გარდმოცემები არსებობს, რომელიც ეხლა უკვე დავიწყებულია, მაგრამ რაც მახსოვს პაპიჩემის ნაამბობი, გეტყვით...

ჩვენს სოფელს წინად ბატონყმობა თითქმის არ შეხებია თურმე, საეკლესიონი ვყოფილვართ; არც თავადები ყოფილან; არის რამოდენიმე კომლი ყოფილი აზნაურები, მაგრამ ისინი გლეხებში იყვნენ გათქვეფილნი, ძმურად მცხოვრებნი, მშრომელნი.

ამ სოფლის თავისუფლების თაობაზე თურმე ბევრი სიგელ-გუჯარი ყოფილა ქართველ მეფეთაგან ბოძებული მტერთან ბრძოლებში ბევჯერ გმირობის გამოჩენისათვის, მაგრამ ზოგი რუსეთში წაუღიათ, როცა ისინი შემოსულან და ბევრი საგანძური გაუზიდიათ საქართველოდან, ზოგი დაკარგულა.

ამ ეკლესიიდან ზოგიერთი განძი, ისტორიისათვის მნიშვნელოვანი, როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მუზეუმს გადავეცით...

შევიდენ...

ირემი ჯვრით.

— აი, ეს... ამაზე ამბობენ, რომ წმ. ესტატეს მკლავიაო, მარჯვენა კი რუსეთს წაეღოთ.. უჩვენა ოქრომკერდში ჩასმული ძვალი, რომელიც მოხუც მღვდელს ეჭირა და მლოცავნი სამთხვევლად რიგში იდგენ..:

— აგერა აიმ კუთხეში უნდა იყოს, ვგონებ, პაატას აკლდამა, გიორგი საакაძის შვილის, რომელიც საქართველოში გამოლაშქრების წინ შაჰ აბასს მძევლად დაუტოვა. ესტატე იქ იქნა თავმოკვეთილი. ეს გალავანი მას შემდეგ ხომ მისი შთამომავლობის სამარხად გადაიქცა... აი დიდი სურათი— ხატი,— მხედარი მონადირე ცხენზე და ქედზე ყელმოღერებული ირემი, რომელსაც ნათელი დასდგომია და რქებშუა ჯვარი გამოსჩენია სწორედ იმ დროს, როდესაც ის თოფს უმიზნებს,— ეს წმ. ესტატეა.

— მერე და მაშინ თოფი იყო?— იკითხა ტარიელი ღიმილით.

— მაგისი კი რა მოგახსენოთ, ეს ალბად მხატვრის ფანტაზიას თუ მიეწერება,- ჩაერია მასწავლებელი ქალი, რომელიც სოსოს ნაცნობი აღმოჩნდა და ხელი გაუწოდა...

— აქ ახლომახლო ბევრია „წმინდა ადგილებად“ ცნობილი მიდამოები, სადაც მონადირეებს აკრძალული ჰქონდათ ნადირობა, მაგრამ ეს არ შეშინებია ამ გაფრთხილებას, რადგან მაშინ წარმართი ყოფილა და პლაკიდე რქმევია სახელად.

როცა ირემი გაქცევია ნადირობას, გამოსდგომია ცხენდაცხენ,— ეს ყოფილა რკონის ღვთისმშობლის მიდამოებში— აქვეა, ახლოს, ტყეში, თეძმის ხეობაზე, სადაც მთიულები ცხოვრობენ.— ირემი რა ასულა ქედზე, მობრუნებია, ეს ის მომენტია გადაღებული, რქებშუა გამოსჩენია ჯვარი სხივებით და უთქვამს:

— რა დაგიშავე? ნუ მესვრი! იყავ გულკეთილი უწყინარ ნადირებისადმი და მოსიყვარულე; უარჰყავ წარმართობა, მიიღე ქრისტიანობა და აღაშენე ტაძარი აი იქ...

და ამ ადგილზე უჩვენებია.

— ალბად იმიტომაა, რომ ირემი წმიდა ცხოველად ითვლება,— იხუმრა ნიკომ.

— პლაკიდე წამოსულა და აქ აუშენებია პატარა ტაძარი, შემდეგ მორწმუნე ხალხს ის წმინდანად შეურიცხავს და ეს დიდი ეკლესია დაუდგამს.

ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით სამ ძმა ბატკუაშვილებს, რომლებიც გმირი ვაჟკაცნი ყოფილან ად საუკეთესო მონადირენიც...

ცეცხლში დაწვა.

— იმათზე გარდმოცემა ამბობს, რომ როდესაც ურიცხვი მტერი დასევიათ და ძლეულან უთანასწორო ბრძოლაში ამ სოფლის მცხოვრებლები, ის სამი ძმა გადარჩენილა, რომელთაც თავი შეეფარებიათ, ალყაშემორტყმულებს, აი ამ მთავარანგელოზში... უჩვენა მასპინძელმა ეკლესიაზე მიშენებული პატარა დანგრეული შენობა.

— მტერს ცეცხლისთვის მიეცა, თურმე, სოფელი; ის სამნი ძმანი ჩაკეტილან და აქედან, სათოფურებიდან, უმუსრიათ მომხდურნი, ვიდრე საშვალება ჰქონიათ; მტრებს წინადადება მიეცათ, რომ დანებებულიყვნენ, მაგრამ უარი მიეღოთ. მაშინ ბინიდან ცეცხლწაკიდებული თივა ჩაეყარათ. ერთი შიგ ამოეხრუკათ, მეორე კარში გამოვარდნისას მოეკლათ და მესამე ტყვედ წაეყვანათ.

გზად გაევლოთ, თავიანთ ქვეყანაში მიმავალთ დავლით, სწორედ იქ, სადაც ოდესღაც პლაკიდეს გამოეცხადა ირემი ჯვრით. დაღლილებს შეესვენებიათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველი მაისი ბერლინში.

წამოწოლილიყვნენ, ჩასძინებოდათ; ჩასძინებოდა აგრეთვე ტყვესაც, და სიზმარში გამოცხადებოდა ესტატე თეთრი მხედრის სახით და ეთქვა:

— ადექი; წადი და აღაშენე სოფელი იქვე.

— როგორ წავიდე, როდესაც ხელ-ფეხშეკრული ვარ? — მიეგო ტყვეს.

— ადექი, თავისუფალი ხარ, — მოესმა თურმე იგივე ხმა და ადგა. ხელ-ფეხი მართლაც შეხსნილი ჰქონოდა.

რა ნახა თურმე, რომ დარაჯებს სძინავს, გამოექცა და კვლავ განაახლა. სოფელი. მოშენდა მოსახლეობა, გაიზარდა, ეს თითქის მათი საგვარეულო სოფელია.

ამაზე ეხლაცაა დარჩენილი ჩვენებურებში შემდეგი თქმულება — ლექსად:

— „ერთაწმინდა რომ დაიწვა,
ცაში ავარდა ალია;
ბატკუაშვილნი გადარჩენ,
რა საყვარელი ძმანია!
ერთმანეთს ეუბნებიან:
საით გავიღოთ კარია,
მაჟულისთვის თავდადებულს
ტკბილი ექნება მტკვარია.!! და სხვა.

სეზმან.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი რაინდი.

(ზღაპარი)

მოქმედნი პირნი:

1. მზის ასული — ყვავილეთის დედოფალი
2. ცისჰანგი — ყვავილეთის რაინდი
3. დოლბანდი — წითელი რაინდი
4. მთის ქალები — ყვავილეთის გუნდი.

ამალა, მსახურნი, მუშები, ბავშები.

მოქმედება სწარმოებს კავკასიონის მთებში, შორეულ წარსულში.

სურათი პირველი.

მშვენიერი ღელე მთებში. სისხამი დილა. პირდაპირ მოჩანს მთის მწვერვალი, მარჯვენივ და მარცხნივ—ტყიანი მთის ფერდობი; შუაში — ამწვანებული ღელე, ლამაზი ყვავილებით სავსე; მთის წვერიდან ჩამოდის მზის ასული, ყვავილეთის დედოფალის სამოსელში, მზის სხივებით გაბრწყინებული, და აღის ყვავილების ტახტზე. ფერდობებიდან ჩამოეშვებიან მთის ქალები და ორ მწკრივად შემოერტყმიან დედოფალს; ტანისამოსი მთის ქალებისა შეეფერება მთის ყვავილებს ისე, რომ ყველანი ერთად შეადგენენ სხვადასხვა ვარდ-ყვავილების ერთ მშვენიერ თაიგულს, რომელსაც ამშვენებს საუცხოო მზის ასული.

——

მზის ასული: განთიადის ჟამს, როს მთათ მწვერვალებს
მზე სხივციალა ააელვარებს,
ნისლთა გუნდები, ვით ფარა ცხვრისა,
გადიხევება გადაღმა მთისა...
სიო დილისა, ნარნარი, ნაზი
ტკბილად დამღერის ყვავილებს ნანას..
აშრიალდება ვენახში ვაზი...
აბიბინდება მინდორში ყანა...
გამოიღვიძებს ჩიტი მალხაზი,
გამოიღვიძებს მთელი ქვეყანა...
ძილგატეხილი და დაქანცული
ზღვა ლოღნის ნაპირს ზვირთთა
რკალებით!
მეც მაშინ ვჩნდები, მზისა ასული,
ლამაზ ღელეში, ლამაზ ქალებით...

მთის ქალები: (შეესალმებიან მზის ასულს და იწყებენ სიმღერას ცეკვით, თან უკრავენ ავილებს).
ჩვენ ვართ ალები,
მთისა ქალები,
მთაში ღელეა ჩვენი სამშობლო...
ვილხინოთ, ვიდრე
ჩვენი სიმდიდრე
ორი ზღვის კიდე
და მთის ქედია...
მთის არწივები,
მზისა სხივები
და ყვავილები
ჩვენი ბედია!..

მზის ასული: ოჰ, მეგობრებო, თქვენი სიმღერა,
ვით ხმა ბულბულის, ტკბილი, ნაზია.
სიცოცხლეც თქვენი, თაიგულივით,
მუდამ სურნელი და ლამაზია...
მზესა ბრწყინვალეს რა შეედრება
სხივთა ციალით დაბლა ან ცაზე?..
ჩვენსა სამეფოს, ტურფა ყვავილეთს,
რა სჯობს კიდევ აქ, დედამიწაზე?
თვალ-მარგალიტით უხვად შემკული
ჩვენი ბუნება მრავალფერია,
ჩვენი ცხოვრება სწრაფი ტალღებით
დაქანებული მთის ჩანჩქერია...
რომელ ზღვის პირას, რომელ კუთხეში
მოიპოვება სხვა ყვავილეთი?!.
სად უერთდება ასე ლამაზად ერთი-
მეორეს ზღვა და ხმელეთი?

მთის ქალები: (კვლავ იმეორებენ თავის სიმღერას: „ჩვენ ვართ ალები“...)

მზის ასული: მშვენიერია თქვენი გალობა. .
მას ბანს აძლევენ მაღალი მთები ..
მას აჰყვებიან ტყეში ფრინველნი,
მას მიბაძავენ ჩუხჩუხა წყლები...
თქვენი სიმღერა ქებაა მთების,
სადაც ბუდობენ მთის არწივები,
სადაც არღვევენ ცისა სიმაღლეს
ნათელმფინარი მზისა სხივები...
სადაც ვერ აღწევს კვამლი მაწისა,
სუფევს ლაჟვარდი უმანკოების;
სადაც საზღვარი არა აქვს სივრცეს
და დრო არა აქვს სივრცეს დროების,
სადაც დროება ვერ ამოსწურეს
ვერც მეფეებმა და ვერც უფლებამ ..
სადაც ღმერთად და მეფედ ითვლება
მხოლოდ უკვდავი თავისუფლება...

მთის ქალები: (მღერიან)
ოჰ, რა კარგია თავისუფლება.
თვალთა სინათლე—მზის ბრწყინვალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას სიხარულით ყველა უხვდება:
სალამი სხივებს, ძირს მწუხარება!
ჩვენ არ გვაკლია სითბო, სინათლე,
ჩვენ სნეულება ვერ გვეკარება...
მზეო ცხრათვალავ, შენი სიახლე
თვით სიცოცხლეა და ნეტარება!..
შენგნით ხარობენ ტყე და არენი,
შენი წყალობით ვარდნი ჰყვავიან;
ყველა სულდგმულნი და მცენარენი
შემოგტრფიან და შემოგხარიან...
სალამი სხივებს! ლამაზ ყვავილებს,
მთაში გამოზრდილთ, მშვენიერებსა...
მაგრა დაჰბერეთ ლერწმის ავილებს,
მთებს ნუ მოაკლებთ ტკბილ სიმღერებსა!

(ტყიდან მოისმის ხმაურობა)

სსუ! ტყე შრიალებს!.. ისმის ძახილი.
აგერ გამოჩნდა ლურჯი ლაშქარა...
(მდინარის ნაპირიდან მოეშურება ლაშქარა)

მთის ქალები: რა ამბავია? რა მოხდა, გვითხარ, მოდი, გვიამბე, გვიამბე ჩქარა!..
(ლაშქარა მოუახლოვდება, სალამს აძლევს დედოფალს)

ლაშქარა: ულამაზესო ყვავილთა შორის,
ყვავილეთისა გრძნეულო თვალო,
თქვენი რაინდი მოდის ამალით,
ქვეყნის მეუფევ და დედოფალო!..

მზის ასული: რაინდს დაუხვდით და გზა უჩვენეთ;
ვარდ-ყვავილებით გზა დაუმშვენეთ!..
(ლაშქარა მიდის დასახვედრად რამდენიმე ქალით)
ცისჰანგსა სწყალოჩს მუდამ ამინდი:
მზე ბრწყინავს, მთებში რომ გამოჩნდება;
მუდამ გვახარებს ჩვენი რაინდი—
ვით სიყვარულის ტკბილი ოცნება...

ცისჰანგი: (შემოდის ამალით და მოწიწებით მიესალმება დედოფალს)
სალამი მზეს და მშვენიერებას,
სალამი ყვავილთ ნაზ დედოფალსა!
სალამი ჩვენსა ბედნიერებას
და ყვავილეთის შვენებას, თვალსა!..
მონა ერთგული დღეს გიახელით
მთელი ჯარით და მთელი ამალით:
უკეთ რაინდი გამოჩნდა ხევით,
ჩვენს მთებს ეწვია სწრაფად და მალვით...
სამოსი მისი სისხლის ფერია!..

მთის ქალები: (შეშინებულნი)
სისხლის ფერია?.
ალბად მტერია?!.

ცისჰანგი: ხელში ნამგალი დაუჭერია...
არავის ერჩის: წყნარად იქცევა,
პაწია ბავშსაც არ უჩენს წყრომას...
მუშა-ხალხს მუდამ ძმურად ექცევა,
ყველგან ქადაგობს ერთობას, შრომას.

მთის ქალები: ვის ეკადრება?!
არ ევარგება—შრომა!..
როგორ გაბედა...
ვილაც თავხედმა—მაგისი მბობა?!.
მიწაზე ძრომა—მიწაზე შრომა!

მზის ასული: მიწაზე შრომა? რას ნაშნავს, ნეტავ?
ვინ გაიგონა, საკვირველია!.
ვფიქრობ, რომ შრომა ყვავილეთისთვის
მავნებელი და მეტად ძნელია!
ნუთუ შეგვშვენის ლამაზ ყვავილებს
დაბლა, მიწაზე, ტალახის ზელა!..
და არც ვიკადრებთ, ვარდებს ჩვეულნი,
დამეთანხმებით ამაში ყველა!..

ცისჰანგი: რა სათქმელია! ვინ მისცემს ნებას,
შრომამ აჯობოს ლამაზ ოცნებას?!..
ვის გაუგია, რომ მარჯვე ხმალსა
ვამჯობინებდეთ მოკლე ნამგალსა?..
მუდამ მზადა ვარ, თქვენი რაინდი!
ჩვენი მომხრეა მზე და ამინდი!..
(უეცრად შემოვარდება ლაშქარა)

ლაშქარა: (აშფოთებული)
მოდის! აქ მოდის! პირდაპირ მოდის!
ყურს არ ათხოვებს მცველთ და დარაჯებს...
თვითონ ეშმაკს ჰგავს რქებმომტვრეულსა,
მისი მხლებლები მიჰგვანან ქაჯებს...

მთის ქალები: მოდის! აქ მოდის! საშინელია!
(ყველას მღელვარება ეტყობა)

დოლბანდი: (შემოდის მძიმედ თავისი ამხანაგებით; ხელში ნამგალი უკავია; მის ამხანაგებს—წერაქვები)
სალამი ყველას!

ცისჰანგი: როგორ თუ ყველას? განა ვერ ხედავ შენ დედოფალსა?!.

დოლბანდი: რა დედოფალსა, რის დედოფალსა?
მე ვხედავ მხოლოდ შეკრებილ ხალხსა!

მზის ასული: (შეტევით)
ვინა ხარ? აქ რისთვის მობრძანდი?!

დოლბანდი: მე ვარ მშრომელი—მუშა დოლბანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ასული: მერე რისთვის ხარ სულ მთლად წითელი?

დოლბანდი: სისხლში დავცურავ სიცოცხლე მთელი.

მთის ქალები: საშინელია!.. სულ მთლად წითელი,
სისხლში დაცურავს სიცოცხლე მთელი...

ცისჰანგი: მერე ვისია სისხლი მაგდენი?
რა არსებაა მისი დამღვრელი?!.

დოლბანდი: მისი დამღვრელი?. გიამბობთ ყველას,
თუმც არ იქნება სიამის მგვრელი...

მზის ასული: არა უშავს-რა... გვითხარით ყველა,
თუნდაც რომ იყოს კრულვა და წყევლა.

დოლბანდი: მაშინ, როდესაც გაჩნდა ქვეყანა,
მეფობდენ მხოლოდ უმანკო დრონი...
თუმც ჯერ არ იყო არსად ,,სამეფო'',
მაგრამ გამოჩნდენ უკვე ,,პატრონნი''.
არ იყო არსად დანაშაული
და არცა სცნობდენ ჯერ ,,დამნაშავეს'',
მაგრამ ,,ბატონნი'' უკვე არჩევდენ
ადამიანებს „თეთრებს" და „შავებს".
,,თეთრები'' ,,შავებს'' მონებად სთვლიდენ:
ამუშავებდენ, ძაღლებზე სცვლიდენ...
და იღვრებოდა ოფლი ,,მონების'':
ეს იყო მსხვერპლი ,,ლამაზ დროების''...
დრონი მეფობენ: იცვალა ხანა—
,,სამეფოდ'' გახდა მთელი ქვეყანა...
გაჩნდენ ,,მეფენი'' და დედოფლები",
ჯარით აივსო ქალაქ-სოფლები...
ყველგან სუფევდა ,,მეფისა ნება''...
ხალხს დარჩა მხოლოდ ტანჯვა-ვაება!
თავზე დაიდგეს ,,გვირგვინი ლომით''
და ერთობოდენ ,,ზეიმით'', „ომით".
ხალხი ხალხსავე უმხედრდებოდა:
ძმა ძმის ხელითვე ,,ომში'' კვდებოდა:
,,ძლევამოსილნი'' იყვნენ „მეფენი",
მათ ეძლეოდათ ძვირფასი ,,ძღვენი''...
ხალხი ცურავდა სიხლის მორევში:
არ ითვლებოდა „მსხვერპლი'' ომებში...
დროს თან დასდევდენ მუდამ ,,ღმერთები'':
მათ არ იკმარეს მაღალი მთები...
ყველგან ჩნდებოდენ: ხმელეთზე, წყლებში,
და დაბინავდენ ბოლოს „ცაძრებში".
შემოიკრიბეს „ქურუმთა ხ

ვა",
„საწირავს" უწყეს კრეფა და ბრძოლა...
და ,,საწირავი'' კრიფეს მათ, ვიდრე
ხალხს გამოსტყუეს მთელი სიმდიდრე...
ხალხსა სწყუროდა ხსნა-დახმარება,
მათ ნაცვლად მისცეს მხოლოდ წამება...
ასეთი იყო ,,ღვთისა'' დროება:
ხალხს მსხვერპლსა სთხოვდა ,,სარწმუნოება''...
სულ ასე იყო; უსამართლობა
არ მოსპობილა ჯერ ქვეყანაზე:
დღესაც იღვრება ოფლი მშრომელის
დაბლა, მთის ძირას, გლეხის ყანაზე...
და თქვენ კი... აქ რომ მაღლა, მთის წვერზე,
ხარობთ და სტკბებით ყვავილებითა,
ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ მათ სისხლსა სწოვთ
და სტკბებით მხოლოდ მათ წვალებითა?!.

მზის ასული: რას ამბობს, რასა? ვერ გამიგია!
რაზე გვანიშნებს სტუმარი ჩვენი?!.

ცისჰანგი: ოჰ, დედოფალო, რა თავხედია!
ბრძანეთ, გადავცე მას წყრომა თქვენი.

მთის ქალები: (გაკვირვებით)
საშინელია!.. სულ წითელია ამ ხალხის ფერი!..
საკვირველია!.. რათ უთმენია ამდენი მტერი!?.

მზის ასული: განაგრძოს კიდევ... იქნებ მივუხვდე
წითელ რაინდსა გულისა წყრომას...
იქნებ მენიშნოს, რათ ცხარობს ასე,
როცა ახსენებს „ოფლსა" და „შრომას''...

დოლბანდი: ოჰ, მზის ასულო, ჭკნობა მოელის
თქვენ ვარდებს და თქვენ ლამაზ ყვავილებს.
გლოვა მოჰყვება თქვენსა ზეიმსა,
ჰანგი მწუხარე ელის ავილებს!..
ნუთუ ვერა გრძნობთ; როგორ მძიმეა
თქვენი ლამაზი სამკაულები?
ნუთუ ვერ ხედავთ, რით მოგირთვიათ
თქვენი ყელი და თქვენი გულები!..
ოჰ, დედოფალო, ყელს რომ გიმშვენებს,

ეგ მძივ-გულქანდა სხვილ მარჯანისა,
შეღებილია სისხლით დედების,
შრომით გალეულ მათი ჯანისა...
და ეგ გვირგვინიც, თავზე რომ გადგას
მარგალიტით და ძვირფას ლალებით,
გაჟღენთილია ცხარე ცრემლებით
დღე-ღამ მატირალ დამშრალ თვალების ..

(ყველანი შეშინებულნი ეკვრიან დედოფალს; ყველას ეჩვენება სისხლი და ტანისამოსი ეღებებათ სისხლის ფრად—წითელი შუქით)

მთის ქალები: საშინელია! სულ წითელია ჩვენი სამოსის ფერი!..
ალბად მოვიდა სადღაც შორიდან—
დღეს ჩვენი ჯერი!..

დოლბანდი: სულ მართალია. ვეღარ უშველის
ყვავილთ სამეფოს თქვენი რაინდი...
დრომ ის გაღია: მზემ ულალატა;
ალარ მოუვა კარგი ამინდი! (ცა ილრუბლება, ბნელდება)

ცისჰანგი. (იძრობს ხმალს)
ბოროტო სულო! შენ მოგვიტანე
უბედურება!
(მივარდება, უნდა დაჰკრას ხმალი, მაგრამ მას ახვედრებენ წერაქვებს; ხმალი ცისჰანგს ხელში ეწვება ცეცხლისაგან, რომელიც ელვასავით ჩნდება—ცისჰანგსა და მის ამალასა და მუშებს შორის ბრძოლის დროს).

დოლბანდი: დრონი მეფობენ—არა მეფენი!
მოვიდა მათი დღეს აღსასრული:
ყველგან ისპობა მტარვალთ სამეფო,
და სდგება ყველგან ხალხი ტანჯული!..
(ცისჰანგი გაგიჟებული, იარაღაყრილი გადიჩეხება კლდეში; ამალის ნაწილი გარბის, ნაწილი ჰყრის იარაღს და უერთდება მუშებს).

ფარდა.

სურათი მეორე.

იგივე ღელე, გაკაფული და გადახნული. წინ—შებმული გუთანი, რომელსაც მისდევენ ფერად კაბებში მორთული გლეხის ქალები. მოშორებით, ხის ძირას, ქართულად ჩაცმული მანდილოსანი გარს შემოხვეული პატარა ბავშებით. კალთაზე გადაშლილი აქვს დიდი წიგნი სურათებით, რომელსაც სინჯავენ ბავშები, ქალები მისდევენ გუთანს და მღერიან.

ქალები: (სიმღერით)
დიდება მზესა ბრწყინვალეს და ლამაზ სხივებს.
სალამი ჩვენს მაღალ მთებსა და მთის არწივებს.
დიდება შროშას ალალსა, წმინდას, მშვენიერს...
დიდება ჩვენს მშრომელ ხალხსა, ჩვენსა ლამაზ ერს!...
გაუმარჯოს მუშა-ხალხსა: მხვნელსა და მთესველს...
შრომაში დაუღალავსა, მუდამ ოფლით სველს...
მას ეკუთვნის მომავალი—ნებისუფლება...
მარადისობის გვირგვინი—თავისუფლება!
(მისდევენ გუთანს, რომელიც გადის მარჯვნივ)

1-ლი ბავში: მერე, დედი, სად წავიდა მზის ასული?

დედა: ის დაეშვა დაბლა ბარზე,
და, როს თავის თვალით ნახა
ხალხი, ტანჯვით დაჩაგრული,
ჯავრისაგან დაჭკნა, გახმა
ბოლმით სავსე მისი გული...

მე-2 ბავში: ცისჰანგს რაღა მოუვიდა?..

დედა: ცისჰანგმა ვერ აიტანა ყვავილეთის გაწითლება,
და, ნამგალზე ხმლისა გაცვლა არ ისურვა, არ ინება...
გაშმაგებით ეცა დოლბანდს, დააპირა მის განგმირვა,
მაგრამ თავზე მას დაატყდა მთელი ქვეყნის რისხვა-გრგვინვა:
ხალხი ცისჰანგს აუმხედრდა,
ჯარიც დოლბანდს მიეშველა,
და მოისპო ქვეყნად ომი—
შრომით იბრძვის ახლა ყველა!..

მე-3 ბავში: ყვავილეთი რაღა იქნა?

დედა: ყვავილეთი, ჩემო კარგო,
შრომის კუთხედ გადაიქმნა...
და იქ, სადაც მთის ქალები
დამღეროდენ ვარდს და ყვავილს,
შრომას მისდევს მთელი ხალხი
და ეს კუთხე ვარდად ჰყვავის...
მას აქეთა მთის გარშემო
ჩვენ ვერ ვხედავთ ცრემლს და დარდებს,
და მშრომელი თვითონა ჰკრეფს
შრომის ნაყოფს, შრომის ვარდებს.

ქალები: (სიმღერით მისდევენ გუთანს, რომელიც გადის მარჯვნივ)
„დიდება მზესა ბრწყინვალეს და ლამაზ სხივებს“.
(იმეორებენ სიმღერას).

ფარდა

გენო ყორჩიბაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახკომკავშირელი, პიონერი და ოქტომბრელი.

პიონერი სოფლად.

ის იქ ატარებს წითელ ყელსახვევს
და სიყვარულით უცქერის ყველას,
ბავშურ სიყვარულს ღიმილში ახვევს
და გლეხებს შრომით ჰპირდება შველას.

არ არის მასში გრძნობა სიყალბის,
შრომის შვილებში საუბრობს მუდამ:
„იცით, ბავშებო, სულ მზად იყავით,
რომ გზა ცხოვრების არ დაგვხვდესთ მრუდად.

სწავლაა ჩვენი ბედის გამხსნელი
და შრომის ტრფობა—მიზნის მიხწევა,
იქენით მუდამ დაუზარელი,
და რწმენა მზედაც გადაიქცევა“...

ლამაზად სიტყვებს გაათამაშებს,
ყველას თვალებში ჩააშტერდება,
პატარა გულებს რწმენით აავსებს
და სიხარულში ამზიურდება.

ყოველთვის, როცა თვალახელილი
მზე აენთება ოქროს მძივებში,
ეს პიონერი მუდამ პირველი
ჩადგება სოფლის გოგო-ბიჭებში...

და ხალისიან მღერა-ხმაურით
ყანებისაკენ ერთად მიდიან,
სადაც დამწიფდა პურის თავთავი,
სადაც გლეხები მიიმღერიან!..

იქ, ოქროს ფერში გაშლილი ყანა
ოდნავ დახრილი ნამგალს მოელის,
რომ ამოავსოს მშაომელთ ქვეყანა,
ლუკმაპურისთვის ოფლის მთოველი..

გაცხოველებულ შრომის ფერხულში
მოსჩანს პატარაც ყელსახვევიდან,
სიმხნეს ატარებს ნორჩ-სპეტაკ გულში,
რადგან სიზანტე არა სჩვევია.

კვალში მისდევენ სოფლის ბავშებიც
ძვირფას მეგობრის წახალისებით,
ცდილობენ, უკან არვინ ჩამორჩეს,
შრომის სურვილით გული ევსებათ...

და ბინდისას კი, საღამოს სუნთქვა
როს გადეკვრება სოფლის მიდამოს,
მწყობრად აწყობენ კონებს ზვინებად,
რომ პური სახლში გადაიტანონ...

ურმები ნელა მიჭრიალებენ,
ულელს ერთგულად სწევენ ხარები,
და ჩამავალ მზის ცეცხლის ალები
ამკობს ბუნებას აფერადებით...

აქ პიონერი დაღლილ სუნთქვიდან
თავის ცხოვრებას კვლავ უბრუნდება,
გლეხის ბავშებიც თავს ევლებიან,
არა სწყინდებათ მისი ყურება...

შემდეგ კი, როცა სოფლის გლეხებმა
ამ პიონერის შეიგრძნეს გული,
ყველა ბავშები ყელსახვევებით
მეორე დღესვე იქნენ მორთულნი.

და ძლიერ ხშირად სოფლის ფერდობზე
ლამაზი მწყობრით იარებიან;
უკვე იციან თვისი მიზანი,—
მშრომელი ხალხის ზურგში სდგებიან...

ე. პოლუმორდვინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერის პირადი სწავლა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პიონერის პირადი სწავლის საკითხს დღემდე კოლექტივის მუშაობაში სათანადო ადგილი არ ჰქონდა დათმობილი. მომავალში მდგომარეობის ამ სახით გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

რა უნდა ჰქნას პიონერ-კოლექტივმა.

პირველი ადგილი ამ შემთხვევაში თვით პიონერ-კოლექტივს უჭირავს. კოლექტივის საქმეა— კოლექტიური კონტროლი გაუწიოს პიონერების სწავლას, ვინაიდან ამაში ის უშუალოდ დაინტერესებულია. ეს შეიძლება გამოიხატოს რგოლებსა და პიონერ-კოლექტივებში პიონერის სწავლის საკითხის დასმით, ჩამორჩენილი მოწაფეებისადმი დახმარების გაწევით. პიონერ კოლექტივმა აღრიცხვაზე უნდა აიყვანოს ყველა მოსწავლე პიონერები, უნდა იცოდეს, რომელ სკოლებში და რა ჯგუფში სწავლობენ ისინი; პიონერ-კოლექტივს ნათელი, გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ყოველი ცალკე პიონერის საერთო განვითარებაზე.

ბუნებრივია, რომ ეს ყველაფერი განსაკუთრებით კარგად უნდა იცოდეს თვითონ პიონერ-კოლექტივის წინამძღოლმა.

საჭიროა, თვით პიონერებმა შეიგნონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლას და სასკოლო სწავლებას. ეს შეგნება კი იმაზეა დამოკიდებული, თუ თვითონ კოლექტივი მთლიანად როგორ ყურადღებას აქცევს სასკოლო სწავლების საკითხს. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ სკოლაში მეცადინეობის დროს პიონერი კოლექტივის სადგომში იჯდა, ხშირად სრულიად უსაქმოდ. საჭიროა სასკოლო სწავლება პიონერ-კოლექტივის მუშაობის გვერდით დავაყენოთ და თვალყური ვადევნოთ, რომ პიონერი გრძნობდეს კოლექტივის კონტროლს სწავლის საქმეში და სკოლაში მუშაობას სერიოზულად ეკიდებოდეს.

ვინ და რატომ სუსტობს სწავლის საქმეში.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ჩვეულებრივად პიონერებს, რომელნიც კოლექტივებში აქტივისტებად ითვლებიან, სკოლაში ნაკლები მიღწევები აქვთ, სუსტობენ, და ის ბავშები კი, რომელნიც თავის პიროვნებას კოლექტივში ვერ ააშკარავებენ, სკოლაში სანიმუშო მოწაფეებად ითვლებიან, დიდი მიღწევები აქვთ სწავლის საქმეში.

ცხადია, როგორც პირველი, ისე მეორე მოვლენაც მეტად ცუდია. უნდა შევძლოთ სკოლის და პიონერ-კოლექტივის მუშაობის დაკავშირება.

იმ შეცდომებში, რომელით ამა თუ იმ ეხრივ გადახრაში გამოიხატება, ხშირად წინამძღოლს მიუძღვის ბრალი. ხშირად ამა თუ იმ დღესასწაულის მოახლოებისას პიონერების წინამძღოლი აგზავნის სკოლაში მიმართვას ამა თუ იმ პიონერების განთავისუფლების შესახებ, და ამით თვითონ უშლის ხელს სკოლაში სისტემატიურ მუშაობას და, გარდა ამისა, წინამძღოლის მხრივ ასეთი მოქცევა ბავშებსაც გულს უცრუებს სკოლაზე

რგოლმა იცის, როგორ სწავლობს პიონერი.

პიონერ-კოლექტივში აუცილებელია სასკოლო სწავლების ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შექმნა— და არა მისი უკან დაყენება, როგორც ეს ხშირად ხდებოდა.

ყოველმა რგოლმა თავის საერთო მუშაობაში ამ კითხვებს შესამჩნევი ადგილი უნდა დაუთმოს. რგოლში უნდა სწარმოებდეს სკოლაში სწავლის საქმეებთან გაცნობა, გაცნობა ბავშების მიღწევების, რომ ვიცოდეთ ბავშების სწავლის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ისე უნდა მოგვარდეს საქმე, რომ ბავშები არ უმალავდენ რგოლს, პიონერ-კოლექტივს ყველაფერ იმას, რაც არის ცუდი ან კარგი მათი სწავლის საქმეში.

ყოველი პიონერი, გარდა პირადი პასუხისმგებლობისა თავისი სწავლის საქმეში, პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს აგრეთვე თავისი რგოლის, კოლექტივის წინაშე, კოლექტივში უნდა ეძებდეს ის დასაყრდენს და დახმარებას მეცადინეობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, პიონერის ჩამორჩენა სწავლის საქმეში მარტო დატვირთვით არ არის გამოწვეული, არამედ იმ ინდივიდუალური თავისებურობით, რომლითაც დაჯილდოებულია ესა თუ ის პიონერი. ყველა ამ უარყოფითი მხარეების გამოკვლევას ყურადღება უნდა მიაქციოს კოლექტივმა და ზომები მიიღოს მის გამოსასწორებლად.

დახმარება ჩამორჩენილ პიონერებს.

ჩამორჩენილი ბავშვებისთვის შიგნით რგოლში ეწყობა კოლექტიური დახმარება. პიონერები დაყოფილი არიან ჯგუფებად — 3-4 კაცი თვითოეულში. ისინი იკრიბებიან ერთ-ერთი პიონერის სახლში, ან რგოლის სადგომში. ეს ჯგუფი კოლექტიურად ამუშავებს მასალას, აწყობს საერთო კითხვას და სხვ. ამ მუშაობაში დახმარებას უწევენ მასზე მიმაგრებული კომკავშირელები და ნაწილობრივად წინამძღოლიც.

ამ შეერთებული მეცადინეობის გადაქცევა უბრალო დაზეპირებად არამცდაარამც არ შეიძლება. კომკავშირელი, რომელიც დახმარებას უწევს პიონერთა ჯგუფს, ითვალისწინებს ბავშვების ინტერესს და მუშაობას საფუძვლად ბავშთა თვითმოქმედებას უდებს.

კოლექტივი უნდა დაეხმაროს იმ პიონერებს, რომელნიც სახელმძღვანელოებს და სხვა სასწავლო საგნებს საჭიროებენ. ამისთვის საჭირო საშუალება კოლექტივმა უნდა აღმოაჩინოს.

როგორია ფორპოსტის როლი პიონერთა სწავლის საქმეში?

მიუხედავად იმისა, რომ ფორპოსტის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს პიონერების სწავლის საქმის ყურისგდება, დღემდე ამას ფორპოსტები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ.

ფორპოსტის მოვალეობაა — სწორად გააგებინოს პიონერებს ის ამოცანები, რომელიც მათ წინ სდგას სწავლის საქმეში. ფორპოსტი უნდა იყოს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი პიონერების სწავლის საქმეში. ამის მიღწევა შეიძლება ფორპოსტის კრებებზე სასკოლო სწავლის საკითხების დასმით და მათი ყოველმხრივ გარკვევით.

ფორპოსტის კრებებზე უნდა ვეცნობოდეთ ჩამორჩენილი ბავშვების და დანარჩენების მიღწევებს სწავლის საქმეში. ფორპოსტი აწყობს ჩამორჩენილი ბავშვებისთვის კოლექტიურ დახმარებას სკოლაში მოცემული დავალებების დამუშავებაში, თუკი საჭიროა, სახელმძღვანელოებითაც.

• შანი

იყავ მზად!

გამსჭვალულნი ერთი გრძნობით
და ერთგვარი ფიქრით,
დარაზმულნი მკვრივ რიგებად
წინ მივდივართ, მივქრით.

ვინ შეგვიშლის მტკიცე ნაბიჯს,
ვინ შეგვიკრავს გზას, —
ურთერთ შორის ფიცი დავდეთ
და გავწირავთ თავს!

რისთვის გვინდა ჩვენ სიცოცხლე,
კერძო ნეტარება,
თუ მშრომელი მუშა, გლეხი
მტრისგან იჩაგრება?!

„იყავი მზად!“ — გვესმის მარად, —
დიად ბრძოლისთვისო;
მედგარ გრგვინვით ვუპასუხებთ:
„მზად ვართ ყოველთვისო“. —

და... მივდივართ დარაზმულნი,
მკვრივ რიგებად მივქრით,
გამსჭვალულნი ერთი გრძნობით
და ერთგვარი ფიქრით.

დ. ელიოზიშვილი.



მუშათა ბრძოლა ინგლისში.

ერთი დიდი უძლიერესი კაპიტალისტური სახელმწიფო — ინგლისი — კიდით კიდემდე შეირყა: დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უზარმაზარი ქარხნები გაჩერებული იდგენ, შეწყვეტილი იყო მატარებლების მიმოსვლა, არ გამოდიოდა გაზეთი!.. ახლაც შეჩერებულია ნახშირის მაღაროებში მუშაობა, იმ მაღაროებში, საიდანაც ასიათასი ფუთობით ამოჰქონდათ ნახშირი.

ახლაც ბრძოლაა გაჩაღებული ინგლისის ყველა კუთხეებში.

რა ხდება ინგლისში?

იქ იბრძვიან ქვანახშირის მაღაროს მუშები.

მთელმა მუშათა კლასმა მხარი დაუჭირა მათ ამ ბრძოლაში და მთელმა ბურჟუაზიამ კი მათ წინააღმდეგ გაილაშქრა.

რატომ აამოძრავა მთელი ქვეყანა მაღაროს მუშების გაფიცვამ?

მუშები ზეიმით ეგებებიან ინგლისში ციხიდან განთავისუფლებულ 6 კომუნისტს.

ინგლისში ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა მუშების გაფიცვა, იქ ათასობით იფიცებიან მუშები, იქ გაფიცვა თვეობით გრძელდება. მაშ რა მიზეზია, რომ ახლანდელმა გაფიცვამ ასე ააღელვა მთელი ინგლისი?

აი, როგორ მოხდა ეს: ინგლისის ნახშირის მაღაროს მუშები დიდი ხანია აწარმოებენ ბრძოლას ნახშირის მრეწველებთან და ბრძოლაში ბევრჯერ გაიმარჯვეს კიდეც, მაგრამ ბოლო წლებში მაღაროს მუშათა მდგომარეობა თანდათან გაუარესდა.

ომის დროს ინგლისის ნახშირი მთელი მსოფლიოს ბაზარზე გამეფდა. ინგლისის მაღაროების მფლობელნი თავის საქონელს საშინლად დიდ ფასს ადებდენ და დიდი მოგება რჩებოდათ. მაშინ, რასაკვირველია, ცოტა რამეს მუშასაც წაუგდებდენ; ომის შემდეგ კი საქმე სხვანაირად დატრიალდა. გამოჩნდა ძლიერი მეტოქე — სხვა სახელმწიფოების ქვანახშირი; გერმანიაში მაღაროები უფრო კარგადაა მოწყობილი, მუშები კი ბევრად უფრო ნაკლებ ხელფასს ღებულობენ; ამიტომ გერმანიის მაღაროს მფლობელებს შეუძლიათ უფრო იაფად გაჰყიდონ თავისი ნახშირი. გარდა ამისა, ფეხი მოიკიდა „თეთრი ნახშირის“ ხმარებამ, ესე იგი, ფაბრიკა-ქარხნებში მანქანებს ამოძრავებენ არა ქვანახშირით, არამედ ელექტრონით. ელექტრონის მისაღებად სარგებლობენ წყლის ენერგიით (როგორც ჩვენში „ზაჰეს“-ის საშვალებით უნდა მოეწყოს).

ზოგიერთი ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო ომამდე მთელი წარმოებისათვის ინგლისის ქვანახშირს ხმარობდენ, ახლა სრულიად აღარ ყიდულობენ მას, მაგალითად, **ნორვეგია**, სადაც არათუ ქარხნებს, თითქის სოფლის ყველა პლიტასაც კი ელექტრონით ათბობენ.

გარდა ამისა ზოგიერთ მანქანებს, რომელსაც ქვანახშირით ამოძრავებდენ, ახლა ნავთით ამოძრავებენ.

ერთი სიტყვით, ინგლისის ქვანახშირის მრეწველებს მოგება შეუმცირდათ, წვრილ მრეწველებს კი სრულიადაც მოესპოთ. მრეწველებმა კი, რასაკვირველია, ხელი მოუჭირეს მუშებს, შეავიწროეს, რომ მათი ხელფასის შემცირებით თავისი მოგება გაედიდებიათ.

რა პასუხი გასცეს მრეწველებს მუშებმა?

იქნება უთხრეს: ჩვენი საქმე არ არის, რა ხდება მსოფლიო ბაზარზე; ჩვენი ხელფასი მოგვეცით, სხვა არ ვიცით რაო.

არა, მუშების პასუხი ასეთი არ იყო!

იმათ უთხრეს მრეწველებს: ჩვენ ვიცით, რომ თქვენი მოგება კლებულობს, ჩვენ ვიცით, რომ, თუ ასე გაგრძელდა, თქვენ სრულიად გაკოტრდებით და მაღაროები დაიხურება. მაგრამ განა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ დღეში ათი საათი ვიმუშაოთ თქვენთვის, და ჩვენ კი მშიერი ვიყოთ, მცირე ხელფასი ავიღოთ იმისთვის, რომ თქვენ უწინდებურად დიდი მოგება დაგრჩესთ?

მრეწველთა და მუშათა ერთ თათბირზე სამთამადნო მუშათა ლიდერი კუკი შეეკითხა ნახში-

რის ერთ-ერთ მეფეს—ჰერცოგ ნორტუმბერლანდელს: თქვენი დღიური შემოსავალი მაღაროს 400 მუშის თვიურ ხელფასს უდრის; მითხარით, მოგაქვსთ თუ არა თქვენ იმდენი სარგებლობა საზოგადოებისათვის, რამდენიც იმათ?

არა, მუშებს არ სურდათ ეშიმშილათ იმისთვის, რომ ქვანახშირის მრეწველთ დიდი მოგება ჰქონოდათ. ისინი ამბობდენ—ნახშირის მაღაროების შემოსავალი თანდათან მცირდება და, უეჭველია, დაღუპვა მოელის. რატომ? ისინი ამბობდენ: მაღაროები დანაწილებულია და დაქსაქსულია სხვადასხვა მსხვილსა და წვრილ მესაკუთრე კაპიტალისტებს შორის. ჩვენი მაღაროები გერმანიის მაღაროებზე უფრო ცუდად არის მოწყობილი. მოაწყვეთ კარგად მაღაროები, შემოიღეთ ახალი მანქანები, წვრილი წარმოებები შეაერთეთ და მაშინ ინგლისის ნახშირი ხელახლა მოიპოვებს გზას მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ მრეწველები ამაზე არ დასთანხმდებიან, ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით. და ისიც ვიცით, რატომ არ დასთანხმდებიან: მაღაროების შემოსავლის გასადიდებლად, მათი ტეხნიკური მოწყობილების გასაუმჯობესებლად, მათ გასაერთებლად საჭიროა ჩამოერთვას მაღაროს პატრონს წარმოება და გადაეცეს სახელმწიფოს.

ერთი სიტყვით, მუშებმა წამოაყენეს საკითხი ქვანახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ.

ახლა გასაგებია, რატომ შესძრა მთელი ინგლისი სამთამადნო მუშების ბრძოლამ: საკითხი ეხებოდა წარმოების ერთი უმთავრესი დარგის ნაციონალიზაციას.

მთავრობას ეშინოდა ამ ბრძოლის და აჭიანურებდა მის არსებითად გადაწყვეტას. ამიტომ მთავრობამ აიყვანა თავისი მფარველობის ქვეშ მრეწველები და აძლევდა მათ სუბსიდიას (შემწეობა), რომ იმათ მიეცათ მუშებისათვის უწინდელი სამუშაო ხელფასი, მაგრამ ამ რამოდენიმე ხნის წინად მთავრობამ შესწყვიტა ამ სუბსიდიის ძლევა, მრეწველებმა კი შეამცირეს სამუშაო ხელფასი.

სამთამადნო მუშები გაიფიცენ.

სამთამადნო მუშების დასახმარებლად აღსდგა მთელი ინგლისი. გამოცხადებულ იქნა საერთო გაფიცვა. გაჩერდა ქარხნები, რკინის გზები, ტრამვაი, გაზეთი.

მთავრობა წავიდა მუშების წინააღმდეგ და შემოიკრიბა მთელი ძალ ღონე—დარაზმა ჯარები. დაატუსაღა მუშები, შეკრიბა მთელი არმია შტრეიკბრეხერებისა, ე. ი. ისეთი ხალხის, რომელნიც არ უწევენ ანგარიშს მდგომარეობას და მზად არიან იმუშაონ გაფიცულების მაგიერ.

ბურჟუაზიის წარმომადგენლები და სხვადასხვა ქალბატონები,—ყველა ცდილობდა მუშების მოტყუებას, დაშოშმინებას, მაგრამ ვერ მოასერხეს შეეჩერებინათ დაწყებული მოძრაობა, შეეჩერებინათ გაფიცვა.

ინგლისში აუარებელი უმუშევარი ხალხია, რომელიც არ არის კავშირში ჩარიცხული და უმეტესობა ამ ხალხისა დადგა სამუშაოზე.

პროფკავშირების მემარჯვენე ბელადები შეშინდენ, რომ მოძრაობას მწვავე ხასიათი არ მიეღო და იმის მაგივრად, რომ ესარგებლათ შექმნილი პირობებით, მათ უღალატეს მუშათა საერთო საქმეს, მოძრაობის დასაწყისშივე გამართეს მოლაპარაკება მაღაროს პატრონებთან, შეუთანხმდენ მათ და უკიდურესი დათმობის გზას დაადგენ. ბელადების ამნაირმა შეთანხმებამ ერთობ ცუდ პირობებში ჩააყენა რკინის გზის მუშები, ასოთამწყობები და მრავალი სხვა პროფესიის მუშებიც.

გაფიცული მუშის დატუსაღება ინგლისში.

რასაკვირველია, ამ ბელადების შეთანხმებამ მუშებზე ცუდი გავლენა იქონია, და გაფიცვა ჩაიფუშა.

მეთაურების ამნაირმა საქციელმა მუშების მასებში დიდი აღშფოთება და რისხვა გამოიწვია. მაგრამ სახელმძღვანელო შტაბს მოკლებულნი, ბელადებისა და მეპატრონეების შეთახმების გამო, იძულებული გახდენ ბრძოლა შეეწყვიტათ.

საერთო გაფიცვა მოიხსნა, მაგრამ მაღაროს მუშები ისევ იბრძვიან. მაღაროები ისევ გაჩერებულია.

გერმანელმა მუშებმა დაადგინეს: არ დატვირთონ ნახშირით გემები ინგლისისათვის. მთელი ქვეყნის პროფკავშირებმა დახმარება აღუთქვეს გაფიცულებს. გარდა ამისა, ინგლისის სხვა საწარმოო დარგებშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაფიცული მუშები ინგლისში.

არ არიან დამშვიდებით. მწარმოებლებმა ისარგებლეს საერთო გაფიცვის დამარცხებით და სამუშაო ხელფასს ყველგან ამცირებენ. მთავრობამაც ჩამოიხსნა ნიღაბი და მოითხოვა, რომ ინგლისის მუშებს ყველგან შეუმცირდეს სამუშაო ხელფასი 10% ით.

მუშებს ჯერ კიდევ ბევრ ადგილას არ მოუხსნიათ გაფიცვა, მაგრამ სადაც მოხსნეს, ისინიც ისევ განაგრძონ ბრძოლა.

მაგრამ როგორც არ უნდა გათავდეს ნახშირის მაღაროს მუშათა გაფიცვა, როგორც არ უნდა გათავდეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ბრძოლა სხვა პროფესიის მუშებისა, ერთი კი ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის — რომ ინგლისის მუშათა კლასმა კარგი გაკვეთილი მიიღო. იმისთვის ცხადი იქნება, რომ შემდეგ ბრძოლის გასაღვივებლად მიზნად უნდა დაისახოს ინგლისის მთელი მუშების შეერთება. უმთავრესად კი ინგლისის მუშებისათვის ახლა ნათელი უნდა გახდეს, რომ სანამ ხელისუფლება კაპიტალისტების ხელშია, საბოლოო გამარჯვებას თავისი ბრძოლის ვერც ერთ ფრონტზე ვერმოიხვეჭენ.

და ინგლისის მუშათა კლასი ამ მიზანს — ხელისუფლების მოპოებას — დაისახავს მთელი თავისი ფართო გაგებით.

ბრძოლის გაკვეთილები უნაყოფოდ არასოდეს არ ჩაივლის.

გადასტრიალება პოლონეთში.

პოლონეთი ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში განუწყვეტელ კრიზისს განიცდის. ხალხის მუდმივი უკმაყოფილება და აჯანყება, ფულის ღირებულების დაცემა, საშინელი სიღატაკე — აი, რა იყო პოლონეთის რესპუბლიკის ცხოვრება.

კრიზისის მიზეზი ბევრი იყო, მთავარი კი შემდეგია: პირველი ის, რომ პოლონეთის მრეწველობას არა აქვს მოპოვებული ბაზარი. საქონელი იმაზე მეტი მზადდება, რის ყიდვაც თვითონ შეუძლიათ პოლონეთის მცხოვრებთ; ამის გამო იხურება ფაბრიკები და აუარებელი მუშა რჩება ქუჩაზე უმუშევარი; მეორე — პოლონეთის გლეხობა უკიდურესად ღარიბია და ყოველწლობით უფრო და უფრო ღატაკდება, რადგანაც იძულებულია ყოველწლობით მემამულეების მიწებში უფრო და უფრო მეტი საიჯარო გადასახადი იხადოს. მესამე ის, რომ სახელმწიფოს ანადგურებს ნაციონალური შუღლი. არაპოლონელები — უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები და გერმანელები, რომლებიც პოლონეთის მცხოვრებელთა ერთ მესამედს შეადგენენ, საშინელ ჩაგვრას განიცდიან: მათ არა აქვთ ნება ილაპარაკონ თავის მშობლურ ენაზე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ჰკეტავენ იმათ სკოლებს, აყენებენ ისეთ ადმინისტრაციას, რომელიც მტრულად უპყრობა მათ. რასაკვირველია, დაჩაგრული ეროვნებანი ღელავენ და განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებენ თავისი უფლებების დასაცავად.

როგორი გამოსავალი უნდა გამოიძებნოს იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელიც შეიქნა პოლონეთში?

თავისი ნაწარმოებისათვის ბაზრის მოსაპოვებლად მან კეთილმეზობლური განწყობილება უნდა დაამყაროს ს. ს. რ. კავშირთან. ვინ არ იცის, რომ უწინ პოლონეთის საქონელის დიდი უმეტესობა რუსეთში საღდებოდა.

გლეხების სიღარიბის მოსასპობად, რაც მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობის მომასწავებელი იქნება, საჭიროა გატარდეს აგრარული რეფორმა, ჩამოერთვას მიწა მემამულეებს და გადაეცეს გლეხობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ბოლოს, უნდა დაკმაყოფილებულ იქნას ეროვნულ უმცირესობათა სამართლიანი მოთხოვნა.

აქამდის პოლონეთის ხელისუფლების სათავეში მემამულე და კაპიტალისტები იყვნენ, რომლებსაც არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ ამ საკითხების მოსაგვარებლად, პირიქით, უფრო და უფრო მეტად სჩაგრავდენ გლეხობას და სხვა ეროვნებათ და უფრო და უფრო ამწვავებდენ ს. ს. რ. კავშირთან დამოკიდებულებას.

მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. მუშები და გლეხები უფრო და უფრო ღელავდენ. მთავრობა ატუსაღებდა და ხვრეტდა მეამბოხეთ. მაგრამ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ საქმის ასე დატოვება შეუძლებელი იყო.

ამ მდგომარეობით ისარგებლა გენერალმა **პილსუდსკიმ.** პილსუდსკი პოპულარული და ცნობილი პიროვნებაა პოლონეთში, როგორც პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი. და ეს თავისი პოპულარობა გამოიყენა, რომ ძალაუფლება ჩაეგდო ხელში.

პილსუდსკი დაუფარავად აღიარებდა, პოლონეთის მთავრობა—ფაშისტების და რეაქციონერების მთავრობაა. ის ამტკიცებდა, აუცილებლად უნდა მოხდეს აგრარული რეფორმა, ამბობდა, უნდა შეიცვალოს ეროვნულ უმცირესობათა მიმართ დამოკიდებულების პოლიტიკა. ამას გარდა აგიტაციას სწევდა ჯარში, მთავრობა დაღუპავს პოლონეთის დამოუკიდებლობას, თუ ჯარი არ ჩაერევა ამ საქმეში. უმაღლეს სამხედრო შემადგენლობას კი უხატავდა ხელისუფლების უპირატესობას, რომელიც უსათუოდ გადავიდოდა სამხედრო წოდებაზე, თუ ამ ხელისუფლებას პილსუდსკი ჩაიგდებდა ხელში.

როდესაც ნიადაგი მოამზადა, პილსუდსკიმ, ვარშავის ახლო დაბანაკებული ჯარით, რომელიც თანაუგრძნობდა მას, მიიტანა იერიში პოლონეთის სატახტო ქალაქზე.

და რადგანაც ყველა უკმაყოფილო იყო ძველი მთავრობისა, ორი დღის განმავლობაში აიღო ვარშავა, და თითქმის მთელი სახელმწიფო ერთბაშად დაემორჩილა ახალ დიქტატორს.

ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ძველი მთავრობის მომხრეებმა თავი მოიყარეს ორ ვინციებში—პოზნანსა და პომერანიაში. მათ ჰყავთ ჯარებიც, მაგრამ საეჭვოა, რომ მათ შესძლონ დიდხანს გაუმკლავდენ პილსუდსკის მომხრეებს.

პილსუდსკი უსათუოდ გახდება პოლონეთის სრული მფლობელი, მაგრამ რა იქნება შემდეგ? მოახერხებს თუ არა ეროვნული საკითხის მოგვარებას? მოახერხებს თუ არა მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევას, მოახერხებს თუ არა მისი მთავრობა ს. ს. რ. კავშირთან შეთანხმებას პოლონეთის საქონლის ს. ს. რ. კ-ში შემოტანის შესახებ?

საეჭვოა!

პილსუდსკის მთელი წარსული პოლიტიკა საწინააღმდეგოს ღაღადებს. და თუ ეს საკითხები არ იქნება გადაწყვეტილი, პოლონელი მუშა და გლეხი დასვამს საკითხს: რა საჭირო იყო ამდენი დავიდარაბა, რისთვის დაიღვარა ამდენი სისხლი, თუ საქმე ასე გათავდებოდა. და მაშინ პოლონელი გლეხი და მუშა თვითონ დაიწყებს მთელ ფრონტზე ბრძოლას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ეს ცხადია პოლონეთის კომპარტიისათვის.

ახლა, გამარჯვების შემდეგ, მაშინვე მოითხოვენ პილსუდსკისაგან, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს აგრარულ რეფორმას და მუშათა და ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის შემსუბუქებას. ისინი მიმართავენ პოლონეთის მშრომელთ: განა იმიტომ ჩამოაგდეთ ფაშისტები, რომ პილსუდსკიმ იაროს ფაშისტების გზითო.

პილსუდსკისათვის გამოსავალი გზა არ არის. მან ან უნდა დააკმაყოფილოს ხალხის უმრავლესობის მოთხოვნილება, ან პირდაპირ ბრძოლა გამოუცხადოს მათ, შეუთანხმდეს მემამულეებს, იმათ, ვისი მთავრობაც მან დაამხო.

მშრომელი ხალხის მოტყუებას ის ვერ შესძლებს.

ახლო მომავალი დაგვანახვებს ხალხის მოძრაობის შემდეგს განვითარებას პოლონეთში. პილსუდსკის მიერ მოხდენილი გადატრიალება მხოლოდ დასაწყისია ხალხის ნამდვილი მოძრაობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილო პოლიუსზე გადაფრენა.

ჩრდილო პოლიუსი დიდი ხანია იზიდავს კაცობრიობის ყურადღებას.

იქ, სადღაც შორს, საუკუნეებით დაგროვილი ყინულით დაფარულ ოკეანეზე, არის ერთი წერტილი. ეს წერტილი იყო მიზანი, საითკენაც ბევრი წლების განმავლობაში მიისწრაფოდა მრავალი ხალხი. ამ მამაც ხალხს ვერ აშინებდა ყინულის კუნძულებზე ფეხით მგზავრობის სიძნელე, ვერც შიმშილი, შრომა და ვერც ბევრის უგზო უკვლოდ დაღუპვა ამ ყინულისა და თოვლის საშინელ უფსკრულებსა და და ზვავებში.

რათ მიისწრაფოდა ეს მამაცი ხალხი დედამიწის ბურთის სწორედ ამ წერტილისაკენ? რით აიხსნება ის, რომ მოგზაურს, რომელიც ვერ აღწევდა პოლიუსს, დამარცხებული ბრუნდებოდა ან იღუპებოდა



„ნორვეგია“ ქ. ოსლოში, აეროპლანების გასაჩერებელ ანძასთან.

გზაში, სცვლიდენ სხვა მოგზაურები, ახალი ექსპედიცია, ახალი ხალხი, რომელნიც კიდევ და კიდევ იღუპებოდენ ყინულსა და თოვლში, სამშობლოსა და მახლობლებს მოშორებულნი.

ყველამ იცის, რომ პოლიუსი მხოლოდ წერტილია, ერთი ადგილი, ყინულსა და თოვლში მიჩქმალული, ყინულოვანი ფართობია საუკუნეებით გაყინულ ოკეანეზე, მაგრამ ამ გაბედულ მოგზაურებს იზიდავდა არა უაზრო ცნობისმოყვარეობა და არც ის, რომ მიეხწიათ ჯერეთ არვისაგან ნახული ადგილისათვის.

ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, იცოდე, ზღვის რადარა დინება არსებობს. ეს ცოდნა ეხმარება მეზღვაურს, მიახწიოს მიზანს. ზღვის დინება სტეხს და თან მიაქვს ჩრდილოეთის ყინული, უხსნის გზას მეზღვაურებს, ან გააქვს ოკეანეს სივრცეზე გემებისათვის საშიში ყინულის მთები.

ზღვის თბილ დინებას მიაქვს ნაპირებისაკენ ქვეყნებისათვის სითბო, ცივს დინებას კი—სიცივე და ყინვა.

ზღვების დინება უმეტესად სწარმოებს ჩრდილოეთიდან, და ზოგი დინება, როდესაც მიახწევს ჩრდილოეთს, იცვლის გეზს. ამ ზღვის დინების შესასწავლად საჭიროა ადამიანმა იცოდეს, არის თუ არა მიწა პოლიუსზე და, თუ არის, რამოდენაა იგი. თუ დიდი ხმელეთია, ცხადია, როდესაც ზღვის ტალღები ეკვეთება ნაპირებს, დინება იცვლის გეზს, და თუ იცი რამოდენაა ეს ხმელეთი, ადვილი გასაგებია, საით, და როგორ მიდის პოლიუსიდან ზღვის დინება. თუ ხმელეთი არ არის, უნდა გამოკვლეულ იქნას, როგორ იყრის თავს და ეკვეთება ერთმანეთს ოკეანეს სხვადასხვა დინება, როგორ გრილდება თბილ დინებათა ტემპერატურა და რომელ ცივ დინებას აქვს დასაწყისი პოლიუსთან.

როგორც ზღვის დინებათა ცოდნას, ისე ჰაერის დინებათა ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის.

ახლა აქ, საქართველოში, ცივა, წვიმა მოდის, და მტკვარი უფროდაუფრო მატულობს, მაშინ, როდესაც ამ დროს წინეთ სიცხეები იყო ხოლმე. რათ ხდება ეს?

იმიტომ, რომ იქ, სადღაც, ჩრდილოეთში, გაჩნდა ციკლონი*), გამოიქროლა მთელ ევროპაზე, გადმოლახა კავკასიონის ქედი და მოიტანა სიცივე და ავდარი ჩვენს ქვეყანაში.

იქ, პოლიუსზე, მუდამ ტრიალებს ცივი ციკლონები, და რომ ვიცოდეთ, როგორ ჩნდება ჰაერის დინება, ქარის რომელი ცივი დინება მოჰქრის

---

*) **ციკლონი**—ჰაერის სხვადასხვა დინებათა შეჯახება.

ყველას უნახავს, ზაფხულის ცხელ დღეში ქარის ამოვარდნის დროს რა მტვერის სვეტები დატრიალდება ხოლმე გზებზე; ამ მოვლენას კუდიან ქარს ეძახიან.

რისაგან ჩნდება ეს კუდიანი ქარი?

სხვადასხვა მხრიდან მონადენი ჰაერი ეჯახება ერთთანეთს და თავისებურ ჰაერის მორევს ჰქმნის. ეს მორევი იმწყვდევს ქუჩის მტვერს და ჩნდება „კუდიანი ქარი“. სწორედ ამნაირი კუდიანი ქარია ციკლონი. მაგრამ უბრალო კუდიანი ქარი ჩვენში პატარა მანძილზეა და ჩქარა ნელდება, ციკლონი კი არის ჰაერის მორევი, რომელიც ძალიან დიდ, რამოდენიმე ასი კილომეტრის, მანძილზე ტრიალებს და ეს ჰაერის ვეება სვეტი გაშმაგებით მიჰქრის თვალუწვდენ სივრცეზე და მიაქვს თან ხან სიცივე და წვიმა, ხან სულის შემხუთავი სიცხე და საშინელი ზიანი ხალხისა და ბუნებისათვის.

პოლიუსიდან სამხრეთისაკენ, როგორ ეკვეთებიან სამხრეთის თბილი და ჩრდილოეთის ცივი დინებანი ერთმანეთს, როგორ ჩნდება ციკლონი, როგორია იმათი გეზი—ეს რომ ყველაფერი ვიცოდეთ, მაშინ ძალიან გაგვიადვილდებოდა დარის გამოცნობაც, შეგვეძლო თამამად გვეთქვა ბათომელი მიწის მუშისათვის: გაუფრთხილდი შენს მანდარინის ბაღს, წრეულს გაზაფხული თოვლჭყაპიანი იქნებაო; მეორე წელიწადს კი შეგვეტყობინებია ქართლის გლეხობისათვის, გვალვიანი წელიწადი იქნება და წყლის თაედარიგი დაიჭირეო.

ზღვისა და ჰაერის დინებათა შესწავლის გარდაც ბევრი რამ არის ისეთი, რაც საჭიროა იცოდეს ადამიანმა პოლიუსის შესახებ. არის თუ არა ცოცხალი არსებანი პოლიარული ოკეანეს სიღრმეში? თუ არის, როგორია, როგორ ცხოვრობენ და მიდიან თუ არა ისინი პოლიუსამდე. როგორია იქ ჩრდილოეთის ნათება, როდესაც ექვსი თვის განმავლობაში შეუწყვეტელი ღამეა, ან როგორ არის გაჩერებული მზე პირდაპირ მაღლა მეორე ექვსი თვის განმავლობაში? ბევრი სხვა საკითხიცაა ადამიანისათვის გამოსარკვეველი, რომელსაც გამოარკვევს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიახწევს დედამიწის იმ წერტილს, საიდანაც, რომელ მხარესაც არ მოტრიალდე, ყველგან სამხრეთი იქნება.

დიდი ხანია ადამიანი ცდილობს მიახწიოს პოლიუსს; დიდი ხანია ფიქრობდა, მისულიყო იქ ჰაერის საშუალებით.

დიდ სიძნელეს წარმოადგენს ყინულის მთებზე ფეხით სიარული. ძალიან ბევრი გაბედული, მამაცი ხალხი დაიღუპა და აღარ დაბრუნებულა ამისთანა მგზავრობიდან.

პირველად, ჯერ კიდევ დირიჟაბლებისა და ჰაეროპლანების გამოგონებამდე, გაფრინდა პოლიუსზე ჰაერის ბირთვზე ფრანგი მოგზაური **ანდრე**, გაფრინდა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. შემდეგ ამნაირი მოგზაურობა აღარავის უფიქრია. მაგრამ დრო მიდიოდა, და ადამიანმა დაიმორჩილა ჰაერი. ჰაერის გემებმა გადიფრინეს ოკეანეები და უზარმაზარი მთა-გრეხილები და ისევ წამოიჭრა ჰაერის საშუალებით პოლიუსზე მისვლის აზრი.

ეს აზრი ნორვეგიელმა მოგზაურმა **ამუნდსენმა** განახორციელა. დიდი ხანია ცდილობდა ამუნდსენი პოლიუსის საიდუმლოების ამოცნობას. ის მოგზაურობდა **ნანსენთან** ერთად გემი „**ფრამ**“-ით და და ფრიად დიდი და ბევრი დაკვირვებანიც მოახდინა ჩრდილოეთის ბუნებაზე. შემდეგ ის მარტოც მოგზაურობდა პოლიარულ ქვეყნებში ბუნების შესასწავლად, შარშან კი ამუნდსენმა ს

ქალაქ ოსლოზე (ნორვეგიის სატახტო ქალაქია.) მან მშვიდობიანად მიაღწია შპიცბერგენს და აქ ცოტა ხნით გაჩერდა, შემდეგ კი პირდაპირ გასწია პოლიუსისაკენ. მგზავრობა მშვიდობიანად მიმდინარეობდა და მიაღწიეს პოლიუსს. პოლიუსზე შეაჩერეს ფრენა, ჩააგდეს ძირს ნორვეგიის, იტალიის და ამერიკის დროშები, დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც იმდენი წლების განმავლობაში ისე უშედეგოდ ცდილობდა ადამიანი მიღწევას და გაფრინდენ წინ. პოლიუსზე გადაფრენის შემდეგ „ნორვეგია“ შეცურდა სქელი ნისლის სივრცეში და გზა დაებნა. რამოდენიმე დღის განმავლობაში ამუნდსენი და მისი თანამგზავრნი დაჰქროდენ ჰაერში უგზოუკვლოდ, რადგანაც ნისლში ვერ არკვევდენ მიმართულებას.

მაგრამ გაფრენა მშვიდობიანად დასრულდა... 17 მაისს ნორვეგია დაეშვა ალიასკაზე. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ექსპედიციის გამოკვლევის შედეგი. არ ვიცით, რა დაკვირვება მოახდინეს მეცნიერმა მოგზაურებმა გაფრენის დროს იმ ადგილებში, სადაც არასოდეს არ გაუვლია ადამიანს, მაგრამ ამ გაფრენის ნაყოფი უკვე ვიცით: მეცნიერები ბევრს კამათობდენ იმის შესახებ, არის თუ არა პოლიუსზე ან მის ირგვლივ დიდი მიწა, ხმელეთი, ახლა კი, „ნორვეგიის“ გაფრენის შემდეგ. ეს საკითხი გამოირკვა. ამუნდსენს და მის თანამგზავრთ დიდი მიწა არ დაუნახავთ. იქ მხოლოდ, ოკეანეა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ყინულით, და რამდენიმე პატარა კუნძულიც არის.

ექსპედიციის სხვა დაკვირვებებს ჩქარა გავიგებთ, მაგრამ როგორიც გინდა იყოს ეს დაკვირვებანი, ცხადია, რომ ადამიანმა კიდევ ერთი დიდებული გამარჯვება მოიხვეჭა: პოლიუსზე გადაფრენის შესაძლებლობა დამტკიცდა. ამუნდსენის შემდეგ გაფრინდებიან სხვა მკვლევარნიც, შეისწავლიან მთელ მის საიდუმლოებას, და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ბალლიუსის შემოკლებული გზით ჰაერის გემებით გადაიტან-გადმოიტანენ ამერიკიდან აზიასა და ევროპაში და აზიიდან და ევროპიდან ამერიკაში ფოსტასა და საქონელს. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ჰაერისა და ზღვის დინებათა ვითარება პოლიუსზე ყველას ეცოდინება. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც თქვენთვის, ჩვენი ჟურნალის ნორჩო მკითხველნო, შესაძლებელი იქნება სრულიად უშიშრად გაემართოთ პოლიუსზე.

რამდენიმე წლის წინად ეს ამბავი ზღაპრად მოეჩვენებოდა ადამიანს. ჰაერო-მატარებლის სადგური, მაგალითად, ოზურგეთში... ჩქარა... ჩქარა. სალარო გააღეს...

— რა მიმართულებით გსურთ ბილეთი აიღოთ, მოქალაქე?

— ჩრდილო პოლიუსზე, კლონდაიკში, ალიასკაზე.

— თქვენ, მოქალაქე?

— მომეცით ბილეთები პროცენტების დათმობით მეორე საფეხურის შრომის სკოლის მოწაფეთათვის.

— სად მიდის ექსკურსია?

— ჩრდილო პოლიუსზე...

ფანტასტიური სურათი არის, არა?

ახლა კი ეს სურათი ჩქარა სინამდვილედ გადაიქცევა.

საოცარ დროში ვცხოვრობთ.

რამდენი გამარჯვება მოელის კიდევ ადამიანს და რამდენი გამარჯვების მოწმე იქნებით თქვენ, ჩვენო ნორჩო მკითხველებო!!

შესაძლებელია, ბევრი თქვენგანი თვითონ გამოვიდეს დიდი მკვლევარი და გაიმარჯვოს ცხოვრების სარბიელზე.

ლ. კ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფურცელი.

(გაგრძელება).

— მე კი მგონია, რომ წუმწუმა იწვის. უყურე, სინათლე სწორედ მისი თავიდან გამოდის.

— აანთე სინათლე და გაშინჯე წუმწუმა.

მართლაც, სინათლეზე ვნახე, რომ წუმწუმის ბავი დაუმწვარი იყო.

— ნუ ჩააქრობ ლამფას, შემდეგი ცდა სინათლეში გავაკეთოთ. ნიკომ დადგა შუა ოთახში სკამი და სკამის თავზე დადო განზე ჯოხი. იმდენი ეცადა, რომ ჯოხი სკამის თავის ერთ წერტილს ებჯინებოდა და არ ვარდებოდა.

— მე არ მეგონა, რომ შეიძლება ჯოხის ასე გაჩერება,—წამოვიძახე მე,—ჯოხი ხომ გრძელია.

— სწორედ იმიტომაც ჩერდება, რომ გრძელია. მოკლე რომ ყოფილიყო, ვერ გააჩერებდი.

— შეგიძლია ჯოხი შენსკენ მოატრიალო ისე, რომ მას არ მოჰკიდო ხელი?

მე ჩავფიქრდი..

ჯოხის ერთ ბოლოს რომ თოკი გამოვაბათ,—დავიწყე მე,

— არა, ისე, რომ არც თოკით და საზოგადოდ არაფრით არ შეეხო. შეგიძლია?

— ჰო, ვიცი.

მივიტანე ჯოხთან სახე და დავიწყე პირით ჰაერის შესრუტვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯოხი ჩემსკენ წამოიწევდა. მაგრამ იმედი გამიმტყუნდა, ჯოხი ადგილიდან არ დაიძრა.

— როგორაა საქმე?

— არაფერი არ გამოდის. შეუძლებელია.

— შეუძლებელია? ვნახოთ.

გაზეთი ჯერ ისევ ღუმელის კედელზე იყო მიკრული; ნიკომ მოაცალა კედელს გაზეთი და გვერდიდან ნელ-ნელა უახლოვებდა ჯოხს. ერთ არშინზე რომ მიუახლოვა, ჯოხმა იგრძნო ელექტრონის ძალა და მიბრუნდა იქითკენ; გაზეთის საშუალებით ნიკო ატრიალებდა ჯოხს სკამის თავის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.

—ხომ ხედავ, ელექტრობით დატენილი გაზეთი თავისკენ იზიდავს ჯოხს და ეს იქამდის იქნება, მანამ მთელი ელექტრობა არ გამოვა გაზეთიდან ჰაერში. ახლა ასე მოვიქცეთ: აგერ, მაგიდაზე ჭიქაში კვერცხი ძევს. ფრთხილად დავდოთ კვერცხზე სახაზავი და ვატრიალოთ ჩვენი გაზეთის საშუალებით. თუ გინდა, შენ თვითონ შინჯე!

გამოვართვი ნიკოს ელექტრონით ახლად დატენილი გაზეთი და მივუახლოვე თუ არა სახაზავს, მან დაიწყო გაზეთს უკან ტრიალი, მანამ არ ჩამოცურდა კვერცხიდან.

მეორედ, დამპირდა ძამია, კიდევ ერთ ცდას გაჩვენებ: გავხვრიტავთ ნემსით კვერცხის ორ ბოლოს და ერთი მხრიდან ბერვის საშუალებით დავაცარიელებთ კვერცხს. ცარიელი კვერცხი დაიწყებს თეფშზე გორვას ელექტრონით დატენილი გაზეთის საშუალებით.

— რა ცუდია, რომ ზაფხულში ღუმელი ცივია და ამიტომ არ შეიძლება ამ ცდების გაკეთება!

ღუმელი აქ მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ ქაღალდი გააშროს. ამ ცდების გაკეთება შეიძლება მხოლოდ სავსებით მშრალი ქაღალდით. შენ ალბად შეატყობდი, რომ ვაზეთის ქაღალდი ყოველთვის ცოტათი ნამიანია, რადგან ჰაერიდან იზიდავს ნამს. ამიტომაც საჭიროა მისი გაშრობა. ნუ გგონია, რომ სულ არ შეიძლება ამ ცდების გაკეთება. შეიძლება მაგრამ ისე კარგად არა, როგორც ზამთარში.

გაზეთს აშრობენ პლიტაზე. როცა იგი იმდენად გაგრილდება, რომ ქაღალდი არ დაიწვას. კარგად გამშრალი გაზეთი გადააქვთ მშრალ მაგიდაზე და მაგრად უხახუნებენ ჯაგრით. იგი იტენება ელექტრობით, მართალია, ნაკლებად, ვიდრე ღუმელის კედელზე. დღეს კმარა. ხვალ კიდევ გავაკეთოთ ცდები.

— ისევ ელექტრობის შესახებ?

— კი, და ისევ ჩვენი მანქანის, გაზეთის ფურცლის, საშუალებით. ახლა კი გაგაცნობ, რას გრძნობდენ მეცნიერი სოსიური და მისი ამხანაგები, როდესაც 1867 წ. ავიდენ მთა სარლეს წვერზე, რომლის სიმაღლე 3 კილომეტრს აღემატება.

ნიკომ ჩამოიღო თაროდან ფლამარიონის წიგნი „ატმოსფერა“, გადაშალა და მომცა წასაკითხავად შემდეგი:

„მოგზაურები ზევით რომ ავიდენ, და რკინაშემორტყმული თავისა ჯოხები მიაყუდეს მთას, სოსიურმა მხრებში და წელში ტკივილი იგრძნო თითქოს ნელ-ნელა ნემსი ერჭობოდა ტანში. „მე მეგონა, რომ ჩემ ტილოს წამოსასხმელში ქინძისთავი შემრჭობოდა და ამიტომ მოვიხადე წამოსასხამი, მაგრამ ტკივილები უფრო გაძლიერდა. ასე მეგონა, კრაზანა დამდის ზედ და მკბენს მეთქი. მეორე წამოსასხამიც მოვიშორე, მაგრამ ვერ ვიპოვე, რა მკბენდა. ტკივილები მემატებოდა. ასე მეგონა, ჩემ შალის ფუფაიკას ცეცხლი მოეკიდა. ის იყო გახდას ვაპირებდი, რომ ჩემი ყურადღება მიიპყრო რაღაც ხმაურობამ, რომელიც ბზუილს ჰგავდა. ხმაურობა გამოდიოდა ჩვენი ჯოხებიდან, რომელიც კლდეზე იყო მიყუდებული. ხმაურობა ჰგავდა ხმაურობას წყლისა, რომელიც საცაა ადუღდება.

ეს მოვლენა დაახლოვებით 5 წუთს გაგრძელდა. მაშინ მივხვდი, რომ ტკივილების მიზეზი იყო ის ელექტრონის ძალა, რომელიც მთიდან გამოდიოდა. ჯოხები ერთნაირ ხმაურობას უშვებდენ დამოუკიდებლივ იმისა, რა მიმართულებით გეჭირათ იგინი. ნიადაგიდან არავითარი ხმაურობა არ ისმოდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ვიგრძენი, რომ თავის და წვერის თმები ყალყზე დადგა. ჩემმა ახალგაზრდა თანამოგზაურმა იკივლა, რომ გრძნობს, თუ როგორ დგება ყალყზე მისი ულვაშები, და ყურების თავიდან გამოდის ძლიერი დინება. ხელები რომ ავწიე, ვიგრძენი, რომ ამისთანავე დინება გამოდის თითებიდან. ერთი სიტყვით, ჯოხები, ტანსაცმელი, ყურები, თმები და საზოგადოდ ყველა გამოზნექილი ნაწილები გამოჰყოფდენ ელექტრობას.

აჩქარებით დავტოვეთ მთის წვერი და 100 მეტრით ჩამოვედით ქვევით; რამდენადაც ქვევით ვეშვებოდით, ჩვენი ჯოხების ხმაურობა სუსტდებოდა; ბოლოს იმდენად შემცირდა, რომ ხმის გასაგებად საჭირო იყო ჯოხის ყურთან მიტანა“.

ასე თავდება სოსიურის ამბავი.

(დასასრული ექნება).

თ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკერეთ სამგზავრო ჩანთა.

ვინც ზაფხულობით აპირებს ბანაკად გასვლას, ან შორს საექსკურსიოდ გამგზავრებას, მას უსათუოდ უნდა ჰქონდეს სამხრეებიანი ტომარა სხვადასხვა საჭირო ნივთების და სანოვაგის ჩასალაგებლად.

ამნაირი ტომარა ორნაირად კეთდება. ამ სურათზე № 1 ნაჩვენები ტომარისათვის უნდა აიღოთ მაგარი ფართლის ნაჭერი, სიგრძით 100 სანტ. და სიგანით 55, გაკეცოთ შუაზე (ამ სურათზე ტომარა გაშლილია), გაკეროთ მაგრა ჯერ წაღმა, მერე უკულმა მაგარი ძაფით, თორემ, ტომარა რომ გაივსება ნივთებით, ან მძიმე რამე თუ ჩადეეით შიგ, შეიძლება გაირღვეს ნაკერზე.



სურ. 1.

ტომარას უკანა ნახევარზე უნდა მიაკეროთ ნაჭერი, ისე გამოჭრილი, როგორც ნაჩვენებია სურათზე, მხოლოდ შემოქობოთ და საღილეები გაუკეთოთ. მეორე, მხარეს ღილები უნდა დააკეროთ. შეიძლება აგრეთვე ტომრის უკანა მხარე, ნაჭერის მიკერების მაგიერ, რამოდენიმე სანტიმეტრით უფრო გრძელი გამოსჭრათ.

ტომრის მეორე მხარეს უნდა დააკეროთ ჯიბე, სადაც შეიძლება სხვადასხვა სახელდახელო წვრილმანი რამეები ჩააწყოთ; ჯიბისათვის უნდა გამოსჭრათ 25 სანტ. სიგრძე და 20 ს. სიგანე ნაჭერი, და მიაკეროთ გადმოსახურავი, რომელიც ღილით უნდა იკვრებოდეს, რომ არაფერი ამოვარდეს ჯიბიდან.

როდესაც ამგვარად შეკერილი ტომარა მზად გაქვთ, მაშინ უნდა მიაკეროთ ორი სამხრე, რომლების საშუალებით შეიძლება ტომარა ზურგზე წამოიკიდოთ. სამხრეები კეთდება იმავე მასალისაგან, რა მასალისაგანაც ტომარა, სიგანით 5 სანტ. გრძელი ლენტები უნდა მიაკეროთ ტომარას შუა ადგილას ორივე ერთად, ან ცალ-ცალკე. ქვედა ბოლოებზე ლენტებს უნდა გაუკეთოთ ხის გათლილი ჯოხები და ტომრის ბოლოზე ორი მიკერებული გრეხილის მარყუჟში გაუყაროთ, როცა ზურგზე მოიკიდებთ. (იხ. სურ. № 1).



სურ. 2.

მეორე ტომარა კი უფრო მარტივად კეთდება (სურ. № 2.) უნდა შეკეროთ ტომარა ისე, როგორც პირველი, მხოლოდ მთელი ტომარა 10 სანტ. უფრო გრძელი უნდა გამოსჭრათ. ზევითა მხარე უნდა გადაკეცოთ ისე, როგორც ნაჩვენებია პუნქტირით, და შიგ უნდა გაუყაროთ რამე გრეხილი, შეიძლება მსხვილი კანაფიც. ორი სამხრის მაგიერ უნდა გააკეთოთ ერთი გრძელი ლენტი და ბოლოები მიაკეროთ ტომრის ორივე ქვედა კუთხეში, როგორც სურათ № 2-ზეა ნაჩვენები. ტომრის ზურგზე მოკიდების დროს ტომარა პირამდის არ უნდა აავსოთ; ლენტისაგან გააკეთებთ მარყუჟს ისე, როგორც ნაჩვენებია მარჯვნით, და მოუკრავთ თავს ტომარს. ტომრის სიმძიმე სწევს მარყუჟს და ტომარა არ გაიხსნება.

სურ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართოგები:

შარადა.

ყური მომიგდე, პატარავ,
მსურს მოგცე ერთში შარადა:
ყველას ისა აქვს, მით ფიქრობს,
რაც დადის მთა და ბარადა.

—

ქვევით ერთ სიტყვას მიუწერ;
ის, ალბათ, ხშირად გსმენია,
ორი ასოა, როს სტირი,
მას გეტყვის დედაშენია...

—

თავში ორ ასოს მოაგლეჯ
(შარადის დასამატია),
თათრებსა უყვართ სადილად,
მარცვლებით არი—ფანტია.

—

ქვევით „ე"-ს დასწერ... და ბოლოს
ანბანის პირველ ორ ასოს
უკუღმა მოუბოლოებ;
ახლა-კი მორჩა, თუ გახსოვს.

—

რასაც მიიღებ, ეს სიტყვა
დღეს ხშირად გაგეგონება,
მას ეტრფის მთელი მსოფლიო,
ბუშის და გლეხის გონება.

გ. როგიტაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-გეომეტრიული ამოცანა.

ტ	ი	ხ	ფ	ს	შ	ა	ს	ვ	თ	ყ	ა	ე	ი
ს	რ	ო	ნ	უ	ვ	ი	ე	ლ	თ	ა	ა	ო	ი

მოცემულია 14 სწორკუთხედი და 28 ასო. თვითოეული სწორკუთხედი გაჰყავით შუაში დიაგონალით. მიღებულ სამკუთხედებში გადასხით ასოები ისე, რომ ზევით მიიღოთ ერთ-ერთი დიდი მწერლის ნაწარმოების სახელწოდება და ქვევით მისი ვინაობა.

ნ. ძიძიგური.

ჯადოსნური კვადრატი.

(წარმოდგენილი ნ. ძიძიგურის მიერ)



კვადრატი ABCD, რომელიც შესდგება 9 თანასწორი კვადრატისაგან, შეავსეთ რიცხვებით ისე, რომ თვითეულ კვადრატში იყოს თითო ციფრი 1-დან 9-მდე. ციფრები ისე უნდა დალაგდეს, რომ სიგრძით და სიგანითაც მიიღოთ 15.

როგორ მოვიქცეთ?

ახსნა მესამე ნომერში მოთავსებული ჩინური რკინისგზის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების

ს ი ა

1.	ნორჩი-ძალა—კრებული	12	კაპ.
2.	„ბელა-ბეკეკა“	10	„
3.	„დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია	50	„
4.	„ბავშებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა	20	„
5.	„ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა	20	„
6.	„ტყის სურათები“ შიო მღვიმელისა	25	„
7.	„ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	80	„
8.	ქართული მოძრავი თამაშობანი“	80	„
9.	„იგავ-არაკები“ ალ. მირიანაშვილისა	30	„
10.	„ივანე სულელი“—ზღაპარი ლ. ტოლსტოისა	15	„
11.	„მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით—გ. ბოგლიჩიძისა	1	მან.
12.	„ოვიდიუსის მეტამორფოზები“—ალ. მიქაბერიძისა	70	კაპ.
13.	„ზამთარი“—ფერადი სურათებით	50	„
14.	„უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“	45	„
15.	„როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან	25	„
16.	„გაზაფხული და ზაფხული“	90	„
17.	„რას გვიამბობს ოთახი“	20	„
18.	„ზღვის სიმდიდრე“	20	„
19.	„პატარა იაპონელები“—ფერადი ყდით	75	„
20.	„სიზმრად და ცხადად“	30	„
21.	„კოკონთან„—ჩვენი უფროსი ძმები, ახალგაზრდა კოკავშირელები	10	„
22.	„ლენინის საათი სკოლაში„	50	„
23.	„ტაიგის საუნჯენი“	40	„
24.	„კომბლე“ ფერად სურათებიანი წიგნი	65	„
25	პიონერი სოფლად	25	„
26.	საბავშო ბალი—ფერადი სურათებით	1	მან.
27.	ნორჩ პიონერთა თანამგზავრი	20	კაპ.
28.	მომღერლები	15	„
29.	წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი—ჯიშკარიანისა	35	„
30.	თინიკოს გამოცანები—ფერადი სურათებით	45	„
31.	საბავშო სახლის ცხოვრებათ	70	„
32.	„იყავ მზად“	5	„
33.	პატარა ჰოლანდიელები	80	„
34.	წითელ კანიანები,—ხლებნიკოვისა თარგ.	55	„
35.	ახალი ორთქლმავალის სიმღერა,—თარგ. ი. გრიშაშვილისა	25	„
36.	ჩემი პატარა წიგნი, ფერადი სურათებით	50	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა 1926 წ. გამოვა

ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები

მოზრდილთათვის **წითელი სხივი** წელიწადი მე-3

მცირეწლოვანთათვის **ნაკადული** წელიწ. მე-XXII

ჟურნალის ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ:

„წითელი სხივი“ და „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად:

„წითელი სხივი“ გადაგზავნით—5 მან.

„ნაკადული“ „ 3 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომ. „წითელი სხივი“—45 კაპ.

„ „ „ნაკადული“—35 „

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 31. განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—**სარედაქციო კოლეგია.**

ტფილისი—13/V—26. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა ელეხ. პრ. № 91.
მთავარლიტ № 823. შეკვ. № 7169/1168 ტირაჟი 3500.